# 98 გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებელ თავისუფლებას და თავისუფალ დამოუკიდებლობას! 25

# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 26 მაისი. 2016 წ. №96 (7988), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.




## რუსთაველის ეპოქის საქართველოს სახელმწიფო საზღვრები

# შვიდ სამეფოდ განწესებული


⑥


◉ უსამართლობა იწვევს აგრესიას!

## შეემზადეთ, ნაცებო, კიდევ ბევრჯერ დაგიხეთქავენ თავებს!


②




## ხალხის ხმა

### ბოიკოტირებულ დეპუტატ ნაციონალებს შეუწყვიტეთ ხელფასები!

ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით,

სოციალურად შეჭირვებული ხალხის თხოვნაა: რადგან ნაციონალებმა, რომელთაც 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებამდე, ვითომ კორცხელის ინციდენტის გამოუძიებლობის გამო შეურაცხყოფილებმა, უსირცხვილოდ გამოაცხადეს ბოიკოტი, ანუ ოთხი თვე აღარ ივლიან პარლამენტის სხდომებზე, ნამდვილად უპრიანი და სამართლიანი იქნება, თუ მთელი ამ ხნის მანძილზე ამ ვაიპარლამენტარებს შეუწყდებათ ხელფასები და დაგროვილი თანხა მთლიანად გაჭირვებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხება.

პატივისცემით
სოციალურად შეჭირვებულები

## დონალდ ტრამპი: ღვთის ქმნილებათა შორის უდიდესი პრეზიდენტი ვიქნები!


③





გუშინ ანტიქართველმა ნაციონალებმა ფეხზე ადგომით პატივი არ მიაგეს 2011 წლის 26 მაისს თვით ნაციონალთაგან დახოცილთა ხსოვნას!

## პროვოკატორი ნაცხროვის კიდევ ერთი გამოწვევა!

### ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო საქმიანობას ბოიკოტს უცხადებს!

ბოიკოტის შესახებ განცხადება საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა სერგო რატიანმა (რეტიანმა) სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა.

**„ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლება ვერ აცნობიერებს იმ პასუხიმსგებლობას, რომელიც მას ეკისრება კორცხელის ინციდენტზე. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ მთელი საქართველო ხედავს, დამნაშავე არის ხელისუფლებაში. ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლება ვერ აცნობირებს, რომ რეალობა შეცვლილია და ხალხი მათ ეუბნება არჩევნებზე — „არას“. ამ არჩევანის წართმევა უნდათ მათ. ვერ აცნობიერებენ იმას, რომ მათ 4 წლის განმავლობაში ვერაფერი ვერ გააკეთეს ხალხისთვის და ახლა უნდათ, იძალაონ ხალხის არჩევანზე. ეს არის მათი პასუხი ხალხის ნებაზე. ამიტომ, ჩვენ, სანამ არ იქნება დადგენილი დამნაშავე, სანამ არ იქნება დადგენილი დამკვეთი, ისევე, როგორც არ იქნებიან დადგენილი ადამიანები, ვინც იძალავეს დღეს, ჩვენ ვაცხადებთ ბოიკოტს და არ შევდივართ დარბაზში. ეს იქნება ჩვენი ბოიკოტი“,** — კიდევ ერთ პოლიტიკურ სისულელეს ამბობს სერგო რატიანი.

## მარჯვენა გიკურთხოს, ზვიადაურო!

**პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. სიტუაცია სხდომაზე მას შემდეგ დაიძაბა, რაც დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი გამოვიდა ინიციატივით, პატივი მიეგოთ 2011 წლის 26 მაისს აქციის დარბევისას დაღუპულთა ხსოვნისთვის.**

უმრავლესობის წევრებმა დაღუპულთა ხსოვნას ფეხზე წამოდგომით მიაგეს პატივი, ხოლო ნაციონალური მოძრაობის წევრები წუთიერ დუმილს არ შეუერთდნენ და ფეხზე არ წამოდგნენ, რასაც ხმაური მოჰყვა და დაპირისპირება ჩხუბში გადაიზარდა. ერთმანეთს „ქართული ოცნებიდან“ ზურაბ ზვიადაური, ოთარ ჩრდილელი და ნაციონალური მოძრაობიდან ტარიელ ლონდარიძე დაუპირისპირდნენ. ზურაბ ზვიადაურს, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, სხდომის თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა სხდომათა დარბაზი დაატოვებინა.

## ჯონ ქერი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს



**„პრეზიდენტ ობამას და ამერიკელი ხალხის სახელით, ვულოცავ საქართველოს მოქალაქეების დამოუკიდებლობის 25 წლისთავს. 26 მაისს ჩვენ აღვნიშნავთ აშშ-ისა და საქართველოს 25-წლიან მეგობრობასა და სტრატეგიულ პარტნიორობას.**

ჩვენ ვხედავთ საქართველოს, როგორც წამყვან მაგალითს დემოკრატიული პროგრესის კუთხით რეგიონში — ეს მიღწევა მით უფრო შესამჩნევია იმ ფონზე, რომ თქვენი ქვეყნის ტერიტორიის 20% კვლავ ოკუპირებულია.

აშშ უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში, ისევე როგორც მის სწრაფვას ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციისკენ.

ვულოცავ ქართველ ხალხს ამ საამაყო დღეს და მოუთმენლად ველოდები პარტნიორობის შემდგომ გაღრმავებას უსაფრთხო, დემოკრატიულ და დამოუკიდებელ საქართველოსთან“, — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადებაში.

## 26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავს აღნიშნავს

**საზეიმო თარიღთან დაკავშირებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაგეგმილია ღონისძიებები.**

**თბილისი:**

11:10 საათზე — გმირთა მოედანზე დაღუპული ჯარისკაცების მემორიალს გვირგვინით შეამკობენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი კობა კობალაძე;



12:00 საათზე — თავისუფლების მოედანზე წვევამდელების ფიცის დადების ცერემონია გაიმართება;

14:00 საათზე — პირველი რესპუბლიკის ბაღში ლევილის მამულის გადმოცემის შესახებ წინასწარი შეთანხმება გაფორმდება; დოკუმენტს ხელს მოაწერენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრთა შთამომავლები;

20:00 საათზე — პარლამენტის შენობის წინ გალა-კონცერტი გაიმართება.



გარდა ამისა, რუსთაველის გამზირზე, მთელი დღის განმავლობაში დაგეგმილია არაერთი გასართობი ღონისძიება, მათ შორის: ყვავილების ფესტივალი, მოძრაობის თეატრის პერფორმანსი, პანტომიმის თეატრის მსვლელობა/ცოცხალი ქანდაკებები, რუსთაველის თეატრი — ისტორიული ექსპონატების გამოფენა; ქუჩის თეატრის პერფორმანსი; ბასტი-ბუბუს კონცერტი 13:00 — 14:00; „ბზიკები სტუდიოს“ კონცერტი 15:00 — 16:00. ილურიძის ბენდის კონცერტი 17:00 — 18:00.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავთან დაკავშირებით, სხვადასხვა სახის აქტივობა დაგეგმილი აქვს ყველა სახელმწიფო უწყებას. სამინისტროები და თბილისის მერია რუსთაველის გამზირზე საკუთარი კუთხეებით იქნებიან წარმოდგენილნი.

გაიმართება ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, დეგუსტაცია; სპორტული ღონისძიებები — ხრიდოლი, შავფაროსნები, გრეხთბოლი, ჭადრაკი ქუჩაზე, ნარდი,



მეკლდეურობა, მკლავჭიდი, ჭიდაობა, მხატვრული ტანვარჯიში, აღმოსავლური ორთაბრძოლები, ქუჩის კალათბურთი; ისტორიული ექსპონატების გამოფენა;

საზეიმო თარიღთან დაკავშირებით, გასართობი ღონისძიებები და გალა-კონცერტები ასევე გაიმართება საქართველოს ყველა რეგიონსა და ქალაქებში.

## ⦿ უსამართლობა იწვევს აგრესიას!

**„გამოძიება ემოციებზე ვერ იქნება აწყობილი“, — განაცხადა შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა კორცხელში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. მაგრამ ეს ის მოვლენაა, რომელშიც ემოციები ჭარბობს. სოციალურ ქსელში ძალიან ცოტა ადამიანმა თუ გაამხილა, რომ ნაციონალების ცემით გახარებულია, დიდმა უმრავლესობამ ეს ფაქტი ადამიანურად დაგმო, მაგრამ იქვე დასძინა, რომ არც ნაცების ცემა იყო უსამართლო, ძალადობა შობს ძალადობას! — გასაგებია, მაგრამ ისიც უნდა გავიგოთ, საიდან წამოვიდა ეს ძალადობა. ამ ძალადობის ფუძემდებლები ვინ არიან...**

# შეამზადე ნაცები - კიდევ ბევრჯერ დაუხეთქავენ თავებს!

მას შემდეგ, რაც შს მინისტრმა სპორტსმენების დაკავება დააანონსა, კორცხელის ინციდენტში მონაწილე სპორტსმენები თავისი ნებით შეიკრიბნენ ორთაჭალაში მდებარე შსს-ს შენობასთან. მათ მხარდასაჭერად კი ადგილზე ათასობით მხარდამჭერი შეიკრიბა. დაიბარეთ ბოკერია და მელია და მათაც აგებინეთ პასუხი! — აცხადებდნენ სპორტსმენების გულშემატკივრები. ორთაჭალაში მდებარე შსს-ს შენობასთან შეკრებილმა სპორტსმენებმა ჟურნალისტებისთვის სულ რამდენიმე კომენტარი გააკეთეს. რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ კი შენობა კომენტარის გარეშე დატოვეს.



„წარმოშობით ზუგდიდელი ვარ. მელია და ნაცმოძრაობის სხვა წევრები ამბობენ, რომ თითქოს პროპაგანდას ვეწეოდით. კორცხელში ჩავედი, როგორც მხარდამჭერი. ამის უფლება ყველას აქვს. ვაპირებთ, ყველა კითხვაზე პასუხი გავცეთ გამოძიებას, — განაცხადა ნოშრევან წურწუმიამ. სპორტსმენ ლადო გეგეშიძის განმარტებით, მას შემდეგ, რაც მინისტრის განცხადება მოისმინა, გადაწყვიტა, მისულიყო დაკითხვაზე, რათა გამოძიებას კორცხელის ინციდენტზე სრული სიმართლე სცოდნოდა. მისი თქმით, მასა და მის მეგობრებს არანაირი დანაშაული არ მიუძღვით და თავს იცავდნენ პროვოკაციისგან. „მოვისმინეთ მინისტრის განცხადება. საბედნიეროდ, არის ხალხი, რომლებმაც დაინახეს, რა ხდებოდა რეალურად, როგორ პროვოკაციაზე მიდიოდნენ ნაციონალები. „ბეისბოლის ბიტები“ და ქვების გროვა ჰქონდათ. არადა, ჩვენ „ზონდერები“ გვიწოდეს“, — განაცხადა კობა ტყეშელაშვილმა. ზონდერები სახეს იფარავენ, ჩვენ კი დასამალი არაფერი გვქონდა, — ამბობენ სპორტსმენები.

სავარაუდოდ, კორცხელის ინციდენტში მონაწილე სპორტსმენების დაკითხვა ამით არ დამთავრდება. საზოგადოება სრულიად სამართლიანად მოითხოვს, დაიკითხოს მეორე მხარე და როგორც პროვოკატორებს შეეფერებათ, ისე დაისაჯოს მოძალადე ნაციონალები.

რაც უნდა იყოს, ეს არ ამართლებს ძალადობას. თუკი „ქართული ოცნება“ წინასწარვე იყო ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ნაციონალები პროვოკაციას გეგმავდნენ, მით უმეტეს არ უნდა დაეშვათ აგრესია. „რამდენიმე დღის წინათ გავაკეთე განცხადება, სადაც ვსაუბრობდი, რომ კორცხელში პროვოკაცია იგეგმებოდა, — აღნიშნა „ქართული ოცნების“ ახალმა წევრმა მდინარაძემ, — ეს ინფორმაცია დადასტურდა, რადგან ჩემს მიერ ჩამოთვლილი ყველა პირი ადგილზე აღმოჩნდა და პროვოკაციაც მოაწყო“. სამწუხაროა, რომ ნაციონალებმა ამჯერადაც მოახერხეს საზოგადოების გაცუცურაკება და საკუთარი წევრების დაზარალებულად და მსხვერპლად წარმოჩენა...

„მოძალადე“ სპორტსმენებს, როგორც ამბობენ, სულ მცირე 4 წლით პატიმრობა ემუქრებათ. ოპოზიციონერი გია კორკოტაშვილი მოუწოდებს ხელისუფლებას, ეს ბიჭები არ დააკავონ! „ვგრძნობ, რომ განსაკუთრებულად უნდათ ეს ბიჭები დასაჯონ. დაკითხვაზე რატომლაც ერთი მხარეა, არადა, ორივე მხარე ჩხუბობდა... დავამთავროთ ამით ყველაფერი და სუფთა ფურცლით დავიწყოთ არჩევნებისთვის მზადება. ახლა რომ ეს ბიჭები დაისაჯონ, ვეუბნები „ქართულ ოცნებას“, რომ საბოლოოდ დაკარგავს ნდობას!“, — ამბობს ის.

„ნაცების მომხრეებს ახლანდელი უსამართლობა რომ გიკვირთ, ეს არის სწორედ ჩვენი უბედურება. ნაცები რომ ცემდნენ ოპოზიციონერებს, მაშინაც ითხოვდით გამოძიებას? არა მგონია! ქოცები იმიტომ ავირჩიეთ, რომ სამართლიანობა დამდგარიყო და დამნაშავეთა კასტა გაესამართლებინათ. ეგ რომ არ გააკეთეს, იმიტომ ცემენ ახლა ნაცებს. ცნობილი ფაქტია — უსამართლობა იწვევს აგრესიას. ამიტომ, შეამზადე ეგ შენი ნაცები — კიდევ ბევრჯერ დაუხეთქავენ თავებს. თუმცა, მე ამის მომხრე არა ვარ“, — განაცხადა ერთ-ერთმა მხარდამჭერმა.

ორმაგი თამაშის წესებს აკრიტიკებს სოციალური ქსელის მომხმარებელი მალხაზ ძიძიგური: „კორცხელის ინციდენტის მონაწილე მხოლოდ ქოცების მხარდამჭერების დაუყოვნებლივ დაპატიმრებას ითხოვენ ნაცები, რესპები, ნათელაშვილები, ალასანიები, ნაცვლიშვილლომჯარია — კაპიტან გიგაურები, ნანუაშვილები... იმას კი არ კითხულობენ, ვინ იყო წამომწყებ-პროვოკატორი! ნაცების დროს ირჯებოდით ასე... მტრისას, ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე მოხვიდეთ ხელისუფლებაში!“

ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა მოუწოდებს ნაციონალებს, რომ თუკი სამართლიანობის აღდგენა რეალურად უნდათ, ჯერ ბოდიში მოუხადონ საზოგადოებას, აღიარონ ჩადენილი დანაშაული და ამის შემდეგ საზოგადოება თავად გაანსჯის მტყუან-მართალს. „ნაციონალებო, არასოდეს გაგჩენიათ სურვილი, ერთად დამდგარიყავით, ჩაგეღუნათ თავები და ერისთვის ბოდიში მოგეხადათ. რადგან თქვენ არც ახლა თვლით თავს დამნაშავედ, თქვენი ნდობა არ შეიძლება. თქვენში ერთი წვეთი სინანულის გრძნობა არ არის! გამოდით, მოგვიხადეთ ბოდიში იმ მოკლული ბიჭების, დარბეული მიტინგების, წართმეული ბიზნესების, ფასადურად აშენებული ქვეყნის გამო და იქნებ, მერე შევძლოთ ნორმალურ გარემოში ერთად ცხოვრება, მერე მოვითხოვოთ თავისუფალი საარჩევნო გარემო და ურთიერთპატივისცემა... მოინანიეთ, შეგვაცოდეთ თავი და დამერწმუნეთ, დაცემულს ჩვენ წიხლს არ ვურტყამთ, აუცილებლად წამოგაყენებთ ფეხზე და შეგინდობთ! სხვანაირად არაფერი არ გამოვა და მუდამ იქნება ანგარიშსწორება! შერიგება აუცილებლად ბოდიშით იწყება!!!“

**თეა მოსია**

## რუსეთი საქართველოსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის მიღწეულ შეთანხმებას მიესალმება

**რუსეთის საგარეო უწყება მიესალმება საქართველოსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის მიღწეულ შეთანხმებას, უახლოეს მომავალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრის გამართვასთან დაკავშირებით.**

**ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თავის ქართველ კოლეგასთან დავით დონდუასთან სატელეფონო საუბრის დროს განაცხადა.**

**გრიგორი კარასინის თქმით, რუსული მხარე დაინტერესებულია შეხვედრის წარმატებით ჩატარებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის წინ.**

**გალის შეხვედრა, 19 მაისს სოფელ ხურჩაში საქართველოს მოქალაქის მკვლელობის შემდეგ დაიგეგმა.**

№96. ხუთშაბათი, 26 მაისი, 2016 წელი.

**აშშ-ის პრეზიდენტობის მილიარდერი კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან, ბიზნესმენი, მსახიობი, მწერალი, კომპანია „ტრამპ ენთერთაინმენთ რესორთის“ დამფუძნებელი, სამშენებლო კონგლომერატ „ტრამპ ორგანიზეიშენის“ პრეზიდენტი, კაზინოებისა და სასტუმროების უმსხვილესი ქსელის მმართველი, დონალდ ჯონ ტრამპი1946 წლის 14 ივნისს ქუინსში — ნიუ-იორკის ადმინისტრაციულ ოლქში დაიბადა. მისი მშობლები, ფრედ კრისტ ტრამპი და მერი ენ მაკლაუდი 1936 წელს ნიუ-იორკში შეუღლდნენ. ტრამპის ბებია და ბაბუა, მამის მხრიდან, გერმანელი იმიგრანტები იყვნენ, ხოლო დედამისს შოტლანდიური ფესვები ჰქონდა. დონალდს 2 ძმა და 2 და ჰყავს.**

ტრამპი ქუინსის დაწყებით სკოლაში მოუსვენარ ბავშვად ითვლებოდა და ამიტომ მშობლებმა კერძო სკოლა-ინტერნატში — „ნიუ-იორკის სამხედრო აკადემიაში“ გაგზავნეს, სადაც იგი კარგად სწავლობდა, ფეხბურთის, ბეისბოლის გუნდებში თამაშობდა და ხშირად ჯილდოებსაც იღებდა.

თავის წიგნში „გარიგების დადების ხელოვნება“ ტრამპი სტუდენტურ კარიერაზე მოგვითხრობს:

2009 წელს დონალდმა ქსელური მარკეტინგის კომპანია „ტრამპ ნეთვორკი“ დააარსა, რომელიც შუამავლების გარეშე ვიტამინებს ყიდის. კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროდუქცია მულტივიტამინებს, გასახდომ პრეპარატებსა და სასიცოცხლო ტონუსის ასამაღლებელ საშუალებებს შეიცავს.

ტრამპი ამერიკულ სატელევიზიო პრემია „ემი“-ზე ორჯერ იყო ნომინირებული. მან რამდენიმე სერიალში თავისივე თავი კომიკურ მანერაში განასახიერა.

2007 წელს ამერიკულ ტელეარხ „ენ-ბი-სი“-ზე დადგმული პოპულარული რეალითი-შოუს „მოსწავლის“ პროდიუსერობისთვის ტრამპს ჰოლივუდის „დიდების ხეივანში“ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს.

2012 წელს საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამრიკელი მილიარდერი ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონია პრეზიდენტის სასახლეში, სააკაშვილისა და ტრამპის შეხვედრის შემდეგ გაიმართა.

მაშინ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ იგი უცხოელებს ამ ორდენით იშვიათად აჯილდოებს. მისი თქმით, ტრამპისთვის ბრწყინვალების ორდენის გადაცემა დიდი პატივი იყო. სააკაშვილმა ასევე დასძინა, რომ ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ბევრი მაღალი რანგის სტუმარი ჩამოდის, მაგრამ ტრამპი მისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩნდა.

## დონალდ ტრამპი:

# ღვთის ქმნილებათა შორის უდიდესი პრეზიდენტი ვიქნები!



„1964 წელს ნიუ-იორკის სამხედრო აკადემიის დამთავრებისთანავე სწავლის გაგრძელება კინოსკოლაში მინდოდა , მაგრამ მაშინათვე მივხვდი, რომ უძრავი ქონებით ვაჭრობა უფრო სარფიანი საქმე იქნებოდა. სწავლა ფორდემის უნივერსიტეტში გავაგრძელე... მაგრამ 2 წლის შემდეგ დავასკვენი, რომ იქ გინდ გისწავლია და გინდ არა. ამიტომ პენსილვანიის უნივერსიტეტთან არსებულ უორტონის ბიზნესის სკოლაში ჩავაბარე... როცა სწავლა დავასრულე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სახლში გავემგზავრე და მუშაობა მამაჩემთან დავიწყე.“

ტრამპმა საკუთარი კარიერა მამამისის კომპანიაში დაიწყო და საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენლებისთვის საცხოვრებელი ფართების იჯარით გადაცემით დაკავდა.

1971 წელს ტრამპი მანჰეტენზე გადასახლდა და მისი კარიერული აღმავლობაც იქიდან დაიწყო.

ჟურნალ „ფორბსის“ 2015 წლის რეიტინგში ტრამპის ქონება 4,1 მილიარდ დოლარად შეფასდა. იმავე წლის 15 ივნისს, საკუთარ შტაბ-ბინაში, რომელიც მანჰეტენზე „ტრამპ თაუერის“ ცათამბჯენშია განთავსებული, ტრამპმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მოსალოდნელ არჩევნებში აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკური პარტიიდან კენჭს იყრის და ბოლოს დასძინა: „ღვთის ქმნილებათა შორის უდიდესი პრეზიდენტი ვიქნები!“

**ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ზესახელმწიფოს პრეზიდენტი თუ დონალდ ტრამპი გახდა... ბედკრულ საქართველოს „ახალი თავსატეხი“ გაუჩნდება!**

როგორც უკვე ცნობილია, 2016 წლის 6 ნოემბერს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს.

აღსანიშნავია, რომ ტრამპმა მიმდინარე წლის 4 მაისს, ინდიანის შტატში, რესპუბლიკური პარტიის პრაიმერისზე დამაჯერებლად გაიმარჯვა. ამის შემდეგ, მისი მთავარი მეტოქე, ტეხასის სენატორ-რესპუბლიკელი ტედ კრუზი წინასაარჩევნო მარათონს გამოეთიშა. იმავე დღეს, რესპუბლიკელთა შორის ტრამპის უკანასკნელმა კონკურენტმა, ოჰაიოს შტატის გუბერნატორმა ჯონ კეისიკმა პრაიმერიზი წააგო. ამრიგად, დონალდ ტრამპი, როგორც პრეტენდენტი აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკური პარტიიდან, ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

დონალდ ტრამპმა 1977 წელს ჩეხური წარმომავლობის 28 წლის ივანა ზელნიჩკოვაზე იქორწინა. მათ 2 ვაჟი და ქალიშვილი შეეძინათ. 1992 წელს წყვილი ერთმანეთს გაეყარა.

1993 წელს დონალდმა 29 წლის ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერი, მარლე მეიფლზი შეირთო ცოლად, რომელთანაც ქალიშვილი გაუჩნდა. წყვილი 1999 წელს განქორწინდა.

2005 წელს ტრამპი 24 წლით უმცროს მელანია კნავსზე დაქორწინდა. მათ 1 წლის შემდეგ ბიჭი გაუჩნდათ. ამრიგად, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი უკვე 5 შვილის მამა და 8 შვილიშვილის ბაბუაა.

„დონალდ ტრამპის ჩამოსვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ანალიტიკური ცენტრის ან პოლიტოლოგის გამოკვლევა იმის თაობაზე, რომ საქართველო წარმატების გზას ადგას. 80-მილიონიანი თურქეთის გარდა, კონტინენტურ ევროპაში საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც ტრამპი პარტნიორებთან ერთად თავის კომერციულ, საცხოვრებელ და სასტუმრო ცენტრს ავითარებს. ტრამპი მსოფლიო მასშტაბით წარმატებისა და ბრწყინვალების განსაკუთრებული ნიმუშია. ამიტომ ჩემთვის დიდი პატივია, ამ ორდენის თქვენთვის გადმოცემა“ — განუცხადა სააკაშვილმა ტრამპს.

ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატმა თავისი ეპატაჟური გამოსვლებით უკვე ფართოდ გაითქვა სახელი. მაგალითად მიმდინარე წლის მარტში დონალდ ტრამპმა საკუთარი ამომრჩევლები ახალი წინასაარჩევნო რგოლით გაახარა. მან სოციალურ ქსელ ინსტაგრამის პირად გვერდზე ვიდეო გამოაქვეყნა და კადრების კომპილაციის მეშვეობით დაგვანახვა, თუ რას უნდა ელოდნენ ამომრჩევლები მომავალი პრეზიდენტისგან.

აღნიშნულ ვიდეორგოლში ტრამპმა პუტინს, როგორც უძლიერეს ლიდერს, „მყეფავი“ ჰილარი კლინტონი დაუპირისპირა, რომელიც, როგორც უკვე ცნობილია, საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მთავარი მეტოქეა დემოკრატიული პარტიიდან.

ვიდეოს დასაწყისში ძიუდოს კადრები ჩანს, სადაც პუტინია დაფიქსირებული. რგოლის შემდეგ მონაკვეთში ნიღბიანი ადამიანი ფიქსირდება, რომელიც ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლს ჰგავს. მას ჰილარი კლინტონის გამოსვლის ამსახველი ჩანაწერი მოსდევს,სადაც იგი ძაღლივით „ყეფს“, ბოლოს კი ისევ პუტინი გამოჩნდება, რომელიც ხმამაღლა იცინის.

სავარაუდოდ, დონალდ ტრამპმა ვიდეოში ის ფაქტი იგულისხმა, რომ ჰილარი კლინტონს ძლიერ ოპონენტებთან გამკლავება არ შეუძლია.

ვიდეო მომღიმარი პუტინის კადრებითა და წარწერით სრულდება — „ჩვენ არ უნდა გავხდეთ დაცინვის საგანი!“

როგორც უკვე ცნობილია, ტრამპის ვარცხნილობას ხშირად დასცინიან ხოლმე, მაგრამ მას ეს არ სწყინს. აღსანიშნავია, რომ მან ცოტა ხნის წინათ ფართო საზოგადოებას შამპუნ „ჰედ ენდ შოლდერსისა“ და სავარცხლის გამოყენება ურჩია, რათა ამომრჩევლებმა ზუსტად მისნაირი ვარცხნილობა დაიყენონ და ზედმიწევნით მას დაემსგავსონ.

**ნინო ნიორაძე**

## ეუთოს დამკვირვებლები არჩევნებზე



2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ეუთოს დამკვირვებლები დააკვირდებიან, — ასე უპასუხა ეუთოს გენერალურმა მდივანმა ლამბერტო ძანიერიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის თხოვნას, საარჩევნო პროცესის მონიტორინგში ეუთოს რაც შეიძლება მეტი დამკვირვებლის ჩართვასთან დაკავშირებით.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს არჩევნების სრულ შესაბამისობას დემოკრატიულ საარჩევნო პრინციპებთან და პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, ეუთოს დამკვირვებლებს მაქსიმალურად მოკლე ვადებში ელოდება. შეხვედრისას აღინიშნა, რომ უკვე გაგზავნილია მოწვევა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისში (ODIHR) და საქართველოში ფაქტების დამდგენი კომისია უკვე იმყოფებოდა.

საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებს და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას.

## ლატვიაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლის იუბილის აღსანიშნავად საქართველოს საელჩომ ლატვიის რესპუბლიკაში ქ. რიგის ისტორიულ სასახლეში „ზიემელბლაზმა“ საზეიმო მიღება გამართა.

საზეიმო მიღებას მუსიკალურ არანჟირებას უკეთებდა ლატვიის კონსერვატორიის სიმფონიური ორკესტრი, ლატვიაში მოღვაწე ახალგაზრდა მომღერალი ცირა თოლორდავა და სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოდან ჩამოსული ანსამბლ „ქართული ხმების“ კვარტეტი. საქართველოს ელჩმა ლატვიის რესპუბლიკაში თეიმურაზ ჯანჯალიამ დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით ლატვიურ ენაზე მიმართა.

მან ყურადღება გაამახვილა საქართველო-ლატვიის ორმხრივი ურთიერთობების, საქართველოს ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციის, ლატვიაში ქართული სათვისტომოს მოღვაწეობის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ელჩის სიტყვის შემდეგ გაიმართა საზეიმო კონცერტი. ღონისძიებას დაესწრნენ ლატვიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ლატვიის მთავრობის, პარლამენტის, კულტურის, სამეცნიერო, სპორტის, მედიცინის და სხვა სფეროების წარმომადგენლები, ასევე ლატვიაში მცხოვრები ქართული დიასპორა და ქართველი სტუდენტები.

## სტუდენტთა დაპირისპირება უნივერსიტეტში

თსუ-ს ადმინისტრაცია სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და ადმინისტრაცია გმობს სტუდენტებს შორის მომხდარ დაპირისპირებას და რეაგირებისთვის საკითხს უნივერსიტეტის ეთიკის კომისიას გადასცემს. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დარეჯან თვალთვაძის განცხადებით, სტუდენტებს შორის ნებისმიერი სახის დაპირისპირება მიუღებელია და მსგავსი ფაქტები უნივერსიტეტში არ უნდა ხდებოდეს. „ვგმობთ ძალადობის ყველანაირ გამოვლინებას. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ გარკვეული პროვოკაციების საფუძველზე უნივერსიტეტში სიტუაცია კიდევ უფრო დავძაბოთ. მოვუწოდებ ყველა სტუდენტს, პროფესორს, უნივერსიტეტის თანამშრომელს, იყვნენ ფხიზლად, რათა მსგავსი ფაქტები არ გამეორდეს და არ გადაიზარდოს უფრო დიდ დაპირისპირებაში,“ — განაცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა.

როგორც დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, სტუდენტებს შორის მომხდარ ფაქტს, მათ შორის უნივერსიტეტის ვიდეოკამერებით დაფიქსირებულ ვიდეოჩანაწერს, სოციალურ ქსელში (Facebook) გავრცელებულ მასალებს და იმ ფაქტებს, რაც დაპირისპირებას წინ უძღოდა, შეისწავლის უნივერსიტეტის ეთიკის კომისია და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 24 მაისს ორ სტუდენტს შორის მომხდარ სიტყვიერ შელაპარაკებას რამდენიმე სტუდენტს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. სიტუაცია უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ჩარევით განიმუხტა.

◉ პური ჩვენი არსობისა...

# მძივივით ასხმული პრობლემები

**ამას წინათ „იმედის" ტელევიზიით ჟურნალისტმა თიკო ფეიქრიშვილმა პურ-პროდუქტების საკითხებთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო გადაცემა მოამზადა, უფრო ადრე კი ტელეკომპანია „კავკასიამ" დაუთმო ეთერი პურის ცხობის რეალიზაციის პრობლემებს, რომელშიც მეც მივიღე მონაწილეობა, გადაცემისას დაისვა რიგი საკითხებისა, რომლებიც კითხვა-გაუცემელი არ მინდა დარჩეს.**

პური პირველადი კვების პროდუქტია, ამიტომ, მისდამი დამოკიდებულებაც პირველადი უნდა იყოს. თავიდანვე განვმარტავ, სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით პური რისკ-ჯგუფს არ მიეკუთვნება, რადგან ის ცხვება 220-250 გრადუსზე და მიკრობები იღუპება. ადრე მოქმედებდა პურის ტრანსპორტირებისა და მისი მომხმარებლამდე მიწოდების განსაკუთრებული წესები, (სამწუხაროდ, ყველაფერი გაუქმდა და მოიშალა), ანუ გამოცხობილი პურის რაოდენობის 25 პროცენტი მაღაზიაში შედიოდა ღამის საათებში. დღეს ეს წესი აღარ მოქმედებს. ყველა მაღაზიას სურს, პური მიიღოს დილის 8-9 საათზე, რაც ფიზიკურად შეუძლებელია. ამიტომაც დისტრიბუცია იძულებულია, ქუჩებში დატოვოს პურის ყუთები, რაც ეს არასწორი და მიუღებელია.



დღეს მსოფლიოს დიდ ქალაქებში კვების პროდუქტებით მაღაზიების მომარაგება მხოლოდ ღამის საათებში ხორციელდება. ჩვენში კი პურით, მინერალური წყლით, ხორცით, რძით, ყველა სხვა პროდუქტით დატვირთული მანქანები ერთად გამოდიან. ამიტომაცაა ქალაქში ამდენი საცობები.

სავსებით სამართლიანად აღინიშნა, რომ ეტიკეტებზე უნდა იყოს პროდუქციის შინაარსობრივი განმარტება (შემცველობა), რადგანაც ჩვენში ხშირად კეთდება სატყუარა რეკლამები. საფუარი ნოლი, საფუარის გარეშე, ჩვენ არ ვღებავთ დიაბეტურს... აქ ჯანმრთელობის სამინისტროსაც უნდა ვუსაყვედუროთ, არავითარ მეცნიერულ შრომებზე დაყრდნობით არ გახლავთ ეს რეკლამები აგებული. 500-გრამიანი დიაბეტური პური რომ დავამზადოთ, 2-2,5 კილოგრამი ფქვილი (ცომი) უნდა გაირეცხოს. ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ერიდებიან, თანაც დიაბეტური პური მაშინ ბევრად ძვირი იქნება. შავი და რუხი პურის სიმჟავე მაღალია, მათში ნახშირწყალი ნაკლებია და კუჭში გადამუშავება უფრო სწრაფად ხდება. აქაც პრობლემებია, რადგანაც ბევრი ხმარობს სხვადასხვა დანამატებს და ისეთ დამაინტრიგებელ რეკლამებს აკეთებს („ჩვენ არ ვღებავთ"), რომ ყველა მეწარმე კომპრომენტირებული რჩება, მომხმარებელი კი — დაბნეული.

ჩვენში პროდუქციის შეფუთვაზე ნაკლებად ზრუნავენ, იმის მაგივრად, რომ „ეტიკის" მესვეურები ინტერესდებოდნენ, რატომ არის ჩვენში ძვირი შესაფუთი მასალა და შტრიხკოდები (ერთი ასორტიმენტი 1500 ლარი), რა ბარიერებია შექმნილი შესაფუთი მასალისა და პროდუქტების ტირაჟირებასთან დაკავშირებით, ისინი მხოლოდ მეწარმეთა კრიტიკოსებად გვევლინებიან. არადა, თუკი ყველა გულთან მიიტანს ამ პრობლემების არსს, პურის ასორტიმენტიც ნორმალური გვექნება და ფასიც.

ბევრმა, ალბათ, არ იცის, ჩვენი საწარმოებისთვის ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის, წყლის რა მაღალი ტარიფებია, მომსახურება კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. წყალში, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, მადუღარა დანადგარებში წარმოიქმნა კენჭები, რომელიც მოითხოვს დარბილებას და იწვევს დამატებით ხარჯებს, აქედან გამომდინარე, ქართული პროდუქტი სიძვირის გამო არაკონკურენტულია. ბათუმიდან თბილისამდე ტრანსპორტირებისას 1 ტონა ხორბალს 30 დოლარი ემატება. ძვირია გადამუშავების ხარჯებიც, ვერა და ვერ მოიშალა მონოპოლიური მანკიერებები ფქვილსა და ხორბალზე, რომელსაც საქართველო თავის სამყოფს არ აწარმოებს. 2015 წლის ალოობის პერიოდში, მაგალითად, როდესაც ფქვილის ფასი ტრადიციულად იკლებს ხოლმე, ჩვენში პირიქით, მოიმატა სრულიად თითიდან გამოწოვილი მიზეზების გამო, შეფერხდა ეკონომიკა, რასაც დოლარის მერყეობაც დაემატა. ვინმემ იფიქრა ამ სირთულეებს როგორ უმკლავდებიან მეწარმეები? საგულისხმოა, რომ ასეთ რთულ სიტუაციაშიც კი პურის ფასი არც გაზრდილა და არც შემცირებულია, რაც მეპურეთა სტაბილურ მუშაობაზე მიგვითითებს.

ამ პრობლემებზე საუბარი იმიტომ გადავწყვიტე, რომ გამგებმა გაიგოს და მეწარმეთა შრომას სათანადო პატივი მიაგოს.

**მალხაზ დოლიძე,**
**პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.**

◉ მოულოდნელი რაკურსით

# რა ზარალს აყენებს უქმე დღეები ქართულ ეკონომიკას?

**დღეს ისევ უქმეა... წელს მაისში დაემთხვა აღდგომის დღესასწაულიც, შესაბამისად, ამ თვეში დასვენების რეკორდული, ხუთი დღეა. თუ ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის გათვლებს დავეყრდნობით, გამოდის, რომ ამ ხუთი დღის გამო მხოლოდ მაისში საქართველოს ეკონომიკამ 320 მილიონი ლარი დაკარგა.**

გიორგი ქადაგიძემ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ საქართველოს ეკონომიკას თითოეულ უქმე დღე დაახლოებით 80 მილიონი ლარი უჯდება. მისივე თქმით, საქართველოში სულ 15 უქმე დღეა, რაც ევროპის ისეთი ქვეყნების მაქსიმალურ მაჩვენებლებს უტოლდება, როგორებიცაა ლიტვა და შვედეთი.

**როგორც ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი წერს, უქმე დღეების საშუალო ევროპული მაჩვენებელი წელიწადში 12 დღეა, აქედან ყველაზე ცოტა დასვენება ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთშია — წელიწადში 8 დღე.**

„კომერსანტი" დაინტერესდა რამდენი დასვენების დღეა არამარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყანაშიც. ინტერნეტში ამ საკითხზე თითოეულ ქვეყანაზე სხვადასხვა მონაცემები არსებობს.

**მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურად 11 დასვენების დღეა, ჩინეთში 25, ბელგიაში — 11, პოლონეთში — 13, ბრაზილიაში — 16 და ა.შ.**

**საინტერესოა, რეალურად რამდენად ახდენს გავლენას ოფიციალური დასვენების დღეები საქართველოს ეკონომიკაზე და რამდენად არის აუცილებელი საქართველოში უქმე დღეების შემცირება?**

„ახალი ეკონომიკური სკოლის" ვიცე-პრეზიდენტი გია ჯანდიერი აცხადებს, რომ დასვენების დღეებზე აპელირება არასწორია და ეკონომიკის განვითარებისთვის, ჯობია, ქვეყანამ უფრო მეტი თავისუფლება მისცეს ბიზნესს.

გია ჯანდიერი მიიჩნევს, რომ უქმე დღეების შემცირებით ქვეყანაში დამატებითი ღირებულება არ შეიქმნება.

**„ვთქვათ, გავაუქმეთ ყველა დასვენების დღე, რა მოხდება? მეტი პროდუქცია შეიქმნება? არა მგონია. ადამიანებს, ვინც მუშაობს, დასვენებაც სჭირდებათ, რომ პროდუქტიულობა არ შეუმცირდეთ",** — ამბობს გია ჯანდიერი.

მისივე თქმით, მეორე მხრივ, როდესაც ბიზნესს საქმე აქვს, ის არ აქცევს ყურადღებას უქმე დღეს და მუშაობს.

**„მგონია, რომ არცერთი ბიზნესი არ ისვენებს, თუ საქმე აქვს. მათ არ აინტერესებთ, არის თუ არა დასვენების დღე. თუ კონკურენტი გყავთ და ის არ ისვენებს, მაშინ არ ისვენებთ არც თქვენ. დასვენების დღეების საკითხი როგორც ყოველთვის აინტერესებთ ხოლმე უფრო ბიუროკრატიულ სამსახურებში მომუშავე ადამიანებს — ბევრს იმუშავებენ თუ ცოტას, ისინი ერთსა და იმავე ხელფასს მიიღებენ, ამიტომ სურთ, რაც შეიძლება მეტი დასვენების დღე იყოს",** — ამბობს სპეციალისტი.

სტატისტიკოსი სოსო არჩვაძეც ეთანხმება კოლეგას და ამბობს, რომ საქმე დასვენების დღეების სიმრავლეში ან სიმცირეში არ არის. მისი თქმით, დღეს უმთავრეს პრობლემას დასაქმების არაოპტიმალური ხასიათი ქმნის, რაც იმაში გამოიხატება, რომ თვითდასაქმებულებსა და დაქირავებით დასაქმებულებს შორის პროცენტული განსხვავება ძალიან დიდია, თვითდასაქმებულთა მაღალი რიცხვი კი დაბალ შემოსავალზე მიუთითებს.

**„უმუშევრობის დონე არ არის ისეთი მაღალი საქართველოში, 12%-ია და ეს არ არის ძალიან მაღალი მაჩვენებელი ევროპული სტანდარტების მიხედვითაც კი. მაგრამ პრობლემა არის დასაქმების არაოპტიმალურ სტრუქტურაში, მაგალითად, ევროკავშირში თანაფარდობა დაქირავებით დასაქმებულებსა და თვითდასაქმებულებს შორის არის პროპორციით 85%-15%-ზე, ანუ ყოველი 100 დასაქმებულიდან 85 არის დაქირავებით დასაქმებული და 15 თვითდასაქმებული. ჩვენთან ეს თანაფარდობა დადებითი გათვლებით არის 40%-60%-ზე. ჩვენ რომ გვქონდეს ევროპული თანაფარდობა, მშპ გვექნებოდა ორჯერ უფრო მაღალი",** — ამბობს სოსო არჩვაძე.

სტატისტიკოსი მიჩნევს, რომ ჯობია ვიზრუნოთ არა სამუშაო დღეების შემცირებაზე, არამედ ოპტიმიზაციაზე, რომელიც დასაქმების სტრუქტურას ევროპული სტანდარტების დონეზე მიიყვანს.

**სალომე მეცხვარიშვილი**

◉ ესეც საქმეა!..




# თაფლის ექსპორტის ახალი პერსპექტივა

**ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შემდეგ, საქართველოს პირველად აქვს შესაძლებლობა ქართული თაფლი ყოველგვარი დამატებითი გადასახადების გარეშე გაიდეს ევროკავშირის ბაზარზე.**

ევროკომისიის სურსათის უვნებლობის დირექტორატმა რეკომენდაციით მიმართა ევროკომისიას, საქართველო მოხვდეს იმ ნუსხაში, საიდანაც შეიძლება თაფლის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა და, როგორც საქართველოში აცხადებენ, ტექნიკური საკითხების მოგვარების შემდეგ თაფლის ექსპორტის გაზრდა საქართველოდან ევროკავშირში რეალისტური იქნება.

დღემდე თაფლის ექსპორტის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი გახლდათ მის შემადგენლობასთან დაკავშირებული მახასიათებლები და საქართველოში ისეთი ხარისხის ლაბორატორიის არარსებობა, რომელიც ყველა შესაძლო კომპონენტზე ანალიზს გახდიდა შესაძლებელს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში, თაფლის წარმოების მიხედვით, ძირითადად სამეგრელოს, აჭარისა და კახეთის რეგიონები გამოირჩევა. **წარმოებული თაფლის 100 % საოჯახო მეურნეობების მიერ იწარმოება, რომელთა უმრავლესობაც მოძველებულ ტექნოლოგიებს იყენებს. შესაბამისად, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში თაფლის პროდუქტიულობის დონე დაბალია და 1 სკაზე, დაახლოებით, 11-12 კგ-ს შეადგენს.**

**2010 წელს საქართველოში — 4 200 ტონა, 2011 წელს — 2 700 ტონა, 2012 წელს — 4 100 ტონა, 2013 წელს — 3 900 ტონა, 2014 წელს კი 4,1 ტონა თაფლი აწარმოეს.**

**რეგიონების მიხედვით, სამეგრელოს რეგიონზე თაფლის წარმოების 33 % მოდის, აჭარასა და კახეთზე — 15-15 %, ხოლო დანარჩენ რეგიონებზე — 37 %.**

**ქართული თაფლის ძირითად ბაზრებს, 2014 წლის მონაცემების მიხედვით, საუდის არაბეთი, ჩინეთი და სამხრეთ კორეის რესპუბლიკა წარმოადგენდა. საუდის არაბეთზე ექსპორტის 87 %, ჩინეთზე — 10 %, კორეის რესპუბლიკაზე — 1 %, ხოლო დანარჩენ ქვეყნებზე ექსპორტის 2 % მოდის. რაც შეეხება იმპორტიორ ქვეყნებს, ამავე 2014 წლის მონაცემების მიხედვით, ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები უკრაინა, გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი არიან. უკრაინაზე იმპორტის 62 %, გერმანიაზე იმპორტის 23 %, რუსეთზე — 9 %, საფრანგეთზე — 4 %, ხოლო დანარჩენ ქვეყნებზე იმპორტის 2 % მოდის.**

**2012 წელს თაფლის იმპორტმა 70 ათასი აშშ დოლარი, ექსპორტმა კი 29 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წელს თაფლის იმპორტის მაჩვენებელი 48 ათასი აშშ დოლარი იყო, ექსპორტის მაჩვენებელი კი — 117 ათასი აშშ დოლარი. 2014 წელს თაფლის იმპორტმა 109 ათასი აშშ დოლარი, ექსპორტმა კი 54 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.**

თაფლი საქართველოს ხელისუფლებას შეტანილი აქვს იმ პრიორიტეტულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიაში, რომლის ექსპორტის გაზრდაზეც სოფლის მეურნეობის მესვეურები დიდ იმედებს ამყარებენ. სულ ცოტა ხნის წინათ დაიწყო სპეციალური პროექტი, რომელიც მეფუტკრეებისთვის თანამედროვე სკების გადაცემას ითვალისწინებს. ცხადია, სკები მხოლოდ ერთი ნაბიჯია ევროკავშირის სტანდარტების რეალურად დაკმაყოფილებამდე და თაფლის ბიზნესში ჩართულ მეწარმეებს კიდევ არაერთი ნაბიჯის გადადგმა მოუწევთ, სანამ ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ შეღავათებს რეალურად განახორციელებენ და ზემოთ მოყვანილ სტატისტიკაზეც ასახავენ.

**ნინო ევგენიძე**




# ვარსკვლავური საათები და ვარსკვლავური გაელვება

**სტეფან ცვეიგს** აქვს შესანიშნავი ნოველების ციკლი, რომლებიც გაერთიანებულია საერთო სათაურით: „კაცობრიობის ვარსკვლავური საათები“: რაზეა საუბარი? იმაზე, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, თუნდაც შეუმჩნეველისა და არაფრით გამორჩეულისა, არის ბევრი მომენტი, რომელსაც ძირეულად შეუძლია, შეცვალოს მისი ბედისწერა. ეს ხშირად არ ხდება. შეიძლება ერთხელ ან ორჯერ ცხოვრებაში. მთავარი მხოლოდ ერთი რამეა: შეძლებს, ადამიანი გამოიყენოს ეს მომენტები? მაგალითად, სამხედრო ინჟინერი რუჟე დე ლილი, რომელიც XVIII საუკუნეში ცხოვრობდა, არასოდეს გამოირჩეოდა მუსიკალური უნარით, მაგრამ ერთხელ, ღამით – ეს 1792 წლის 25 აპრილს მოხდა – მას გონება გაუბრწყინდა, და დაწერა სამხედრო მარში, რომელმაც ლამის მეორე დღესვე მოიპოვა უზარმაზარი პოპულარობა და შემდგომ, როდესაც მიიღო სახელწოდება „მარსელიოზა“, საფრანგეთის ჰიმნად იქცა. ეს იყო ბედნიერი ვარსკვლავური საათი მანამდე უცნობი ადამიანისა...

არის უბედური საათებიც. თავისი სიცოცხლის ბოლომდე, მარშალმა ემანუელ გრუშიმ (მან საკმაოდ დიდხანს იცოცხლა – 81 წელი) ვერ შეძლო ეპატიებინა საკუთარი თავისთვის ის, რომ ვერ გამოიჩინა ინიციატივა და ვერ მიუსწრო დახმარებოდა თავის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტს ვატერლოოსთან ბრძოლის დროს. არადა, როგორ ელოდებოდნენ მას! მაგრამ გრუშის ჰქონდა ბრძანება – კვალდაკვალ გაჰყოლოდა გენერალ ბლიუხერის პრუსიულ არმიას, ის, სანიმუშო მსახური, განუხრელად ასრულებდა მას. ბლიუხერი კი მარჯვე მანევრით გაეცალა მის კვალდაკვალ მიმავალ გრუშის და თავისი ნაწილებით მიუსწრო ვატერლოოსთან ბრძოლის ველზე ყველაზე გადამწყვეტ მომენტში. სწორედ ამან განსაზღვრა გრანდიოზული ბრძოლის შედეგი ინგლისურ-პრუსიული ჯარების სასარგებლოდ გენერალ ველინგტონის მეთაურობით.

ახლა კი გადმოვინაცვლოთ ჩვენს ცვეიგისშემდგომ პერიოდში. 1966 წელი. ლონდონი. „უემბლის“ სტადიონი. მიმდინარეობს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დამატებითი დროის მე-11 წუთი ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის. ანგარიშია 2:2. ტრიბუნებზეა – 98 ათასი მაყურებელი და... მომაკვდინებელი დუმილი: რა იქნება? და ამ მომენტში ინგლისელი მოთამაშე ჰერსტი ასრულებს უძლიერეს დარტყმას გერმანიის გუნდის კარისკენ. ბურთი ხვდება ძელს, ეცემა მიწაზე და მიფრინავს მინდვრისაკენ. იყო გოლი, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი? მატჩის მთავარ არბიტრს შვეიცარიელ ჰაროლდ დინსტს ეს არ დაუნახავს და ის მირბის გვერდით მსაჯთან, ან, როგორც დღეს იტყოდნენ ლაისმენთან, პასუხისთვის: ჩაითვალოს ბურთი თუ არა?... ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო, იმაზე, თუ რას იტყოდა ფეხბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯი ტოფიკ ბახრამოვი ბაქოდან. დიახ, ეს იყო მისი ვარსკვლავური საათი! როგორი პასუხი გასცეს? აი, როგორ აღწერდა მოგვიანებით ამ ისტორიას მაშინდელი პოპულარული სპორტული გაზეთი: „რაზე ფიქრობდა იმ მომენტში უბრალო საბჭოთა ადამიანი ტოფიკ ბახრამოვი? მას გაახსენდა ჰიტლერელთა ვერაგული თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე, გაახსენდა ალმოდებული ქოხები ბელორუსიასა და კიევშჩინაზე, დახვრეტილი საბჭოთა პატრიოტების სხეულები, საკონცენტრაციო ბანაკების მსხვერპლები მაიდანეკსა და ოსვენციმში... და მან თავისი სამსაჯო დროშით გადაჭრით მიუთითა მინდვრის ცენტრისკენ. გოლი ჩაითვალა“! დიახ, ყველაფერი აღწერილი იყო სწორედ ასე...

თავისი ვარსკვლავური საათი ჰქონდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ მიხეილ გიორგაძესაც. და ეს მოხდა 13 მაისს სტოკჰოლმში სასიმღერო კონკურს „ევროვიზია-2016“-ის ფინალის წინა დღეს, როდესაც გიორგაძის კაბინეტში დარეკა ცნობილმა **პრანკერმა ვოვანმა,** თავი წარუდგინა უკრაინის კულტურის მინისტრ ევგენი ნიშჩუკად და სთხოვა კაბინეტის უფროსს „ევროვიზიიის“ უკრაინელ კონკურსანტ ქალს ჩაურიცხოს დამატებითი ქულები. მკითხველს ვუკარნახებ: პრანკი – ესაა სატელეფონო ხულიგნობა, სატელეფონო გათამაშება, პრანკერები კი არიან ადამიანები, რომლებიც ტელეფონებით ურეკავენ თავიან „რჩეულებს“, და პროვოკაციის, გამასხარავების გზით აიძულებენ თავიანთ მსხვერპლს საპასუხო რეაქციას. ამ დღეს მინისტრს რომ გამოეაშკარავებინა პრანკერი ვოვანი – მისი ვარსკვლავური საათი შეიძლებოდა დამდგარიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მინისტრი გათამაშებას ადვილად წამოეგო. აი, როგორ მიმდინარეობდა საუბარი.



**მინისტრი:** ალო, მოგესალმებით!

**პრანკერი:** გამარჯობათ, მე ევგენი ნიშჩუკი ვარ, უკრაინის კულტურის მინისტრი. მინდოდა მესაუბრა თქვენთან ევროვიზიასთან დაკავშირებით...

**მინისტრი:** მაშ...

**პრანკერი:** უბრალოდ, ვფიქრობდი, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს. აი, უფრო მეტი რომ დაგეწერათ ჩვენთვის... შემდგომში ჩვენც თქვენ დაგეხმარებოდით... რას ეტყვით?

**მინისტრი:** მინდა გითხრათ, რომ ტრადიციულად საქართველოს მხრიდან მუდმივად გაქვთ მეტად ინტენსიური მხარდაჭერა, მაგრამ მე დამატებით დაველაპარაკები ჩვენი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის შეფს, შევეკითხები, თუ როგორ შეიძლება კიდევ ოდნავ გავახუროთ მხარდაჭერა. და, ბუნებრივია, ვთხოვ მას ამის გაკეთებას...

**პრანკერი:** ეს იქნებოდა საუცხოო რამ...

**მინისტრი:** ის ჩემი კარგი მეგობარია, ასე რომ...

**პრანკერი:** შესანიშნავია, მაშ დაველოდებით!

კომენტარები, როგორც იტყივან, ზედმეტია.

... აქ ცოტა უკან დავიხიოთ. იყო დრო, როდესაც ყოველი მაღალი რანგის ჩინოვნიკის კაბინეტში იდო მთავრობის ტელეფონები. ვინც ერთი რანგით დაბლა იდგა, მათ ჰქონდათ ოთხციფრიანი ტელეფონები. ვინც რანგით მაღლა იდგა – სამციფრიანი. იყო საერთოდ ტელეფონები ე.წ. „ვეჩე – ყველაზე ტიტულოვანი პირებისთვის. ერთი სიტყვით, ყველაფერი იყო მარტივად და ცხადად. შეხედავ ტელეფონს, რომელიც რეკავს და უმალვე განსაზღვრავ, რომელი რანგის „დიდი ვინმე“ შეიძლება იყოს მავთულის მეორე ბოლოში. ახლა კი ყველა მობილურზე გადაერთო. რასაკვირველია, უცნობი ნომრის ზარს შეიძლება არ უპასუხო. თუმცა, სარისკოა – ასე მნიშვნელოვანი ცნობა შეიძლება გამოგრჩეს. როგორ განვსაზღვროთ, თუ ვინაა მავთულის მეორე მხარეს? რა თქმა უნდა, მაღალი რანგის ჩინოვნიკები თავიანთი მობილური ტელეფონების ნომრებს უცხო პირებს არ უტოვებენ. მაგრამ ამჟამინდელი ტექნიკური შესაძლებლობის პირობებში გაიგო მობილური ტელეფონის ნომერი, მაგალითად, მინისტრისა, განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს. საბედნიეროდ, ქართველი პრანკერები ჯერჯერობით განსაკუთრებულ აქტიურობას არ იჩენენ. მხოლოდ წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რომ, მაგალითად, ვინმე ადგილობრივი „ვოვანი“ დაურეკავდა ჩვენი მთავრობის წევრებს და ბიძინა ივანიშვილის ხმით გასცემდა განკარგულებას. აი, ეს იქნებოდა სიუჟეტი...

თუმცა, დავუბრუნდეთ მინისტრის საუბარს რეალურ ვოვანთან. კი, იყო ამ საუბრის ბოლოს ეპიზოდი, როდესაც მიხეილ გიორგაძე, უბრალოდ, ვალდებული იყო ამოეცნო პრანკერის მანევრი. თუმცა, ეს ვერ შეძლო. ანდა, მითხარით გულწრფელად, უკრაინის მინისტრს რისთვის სჭირდება ქართველი კოლეგის წინაშე გამოქომაგებოდა „ევროვიზიის“ რუს მონაწილეს და ეთხოვა „დაეწერა“ ლაზარევისთვის „ნორმალური ციფრები“. აქ ცოტა ყურადღება უნდა გაემახვილებინა, მაგრამ...

ვკითხულობთ ტექსტს

**ვოვანი:** და მეც მაქვს თხოვნა ჩვენი მხრიდან, რომ რუსეთმაც არ განიცადოს რაღაც დისკრიმინაცია. რომ მერე ბრალი არ დაგვდონ, რომ ჩვენ მოვილაპარაკეთ და რაღაც მოსყიდვები იყო. რომ მათაც რაღაც ნორმალური ციფრები დაუწერონ, მუსიკოსის... ლაზარევის გამოსვლის ხარისხის შესაბამისად.

მაინც რაში სჭირდებოდა ევგენი ნიშჩუკს ლაზარევის ქულები! განა ცხადი არ იყო, რომ ეს ცრუ განგაშის სიგნალი იყო: ფრთხილად იყავით, ბატონო მინისტრო, ეს სუფთა საქმე არაა! მაგრამ არა, კარნახმა ვერ იმუშავა.

მინისტრი შემოიფარგლა მხოლოდ არაფრისმთქმელი ფრაზით:

**„ოკეი, კეთილი!“**

და ახალგაზრდა მომღერალ ნინო სუბლატს, როგორც სტოკჰოლმში სიმღერის ევროპული კონკურსის თბილისური ჟიურის სხვა წევრებსაც, შეჯიბრების 14 მაისის ფინალური დღე ასევე აძლევდა ბრწყინვალე შესაძლებლობას გამოეჩინა თავი. ძნელია, იმის თქმა, რა შეიძლებოდა გამხადარიყო ეს დღე მომღერლისა და ჟიურის სხვა წევრებისთვის: ვარსკვლავური საათი, ვარსკვლავური გაელვება ან რაიმე სხვა რამ კიდევ. მაგრამ ეს შესაძლებლობა მათ ვერ გამოიყენეს. ხოლო ის, თუ რა გახდა ამის მიზეზი – სხვა საკითხია.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ნინო სუბლატი აცხადებდა შეფასებებს, რომლებსაც სტოკჰოლმში სიმღერის კონკურსის მონაწილეებს უწერდა თბილისის ჟიური. ეჭვის ქვეშ დავაყენებ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და დავსვამ შეკითხვას: ნუთუ მომღერალ ლაზარევის გამოსვლა შვედეთის დედაქალაქში იყო იმდენად უნიჭო და უიმედო, რომ ადგილობრივი ჟიურის მხრიდან „ერთი ქულაც“ ვერ დაიმსახურა 12 შესაძლო ქულიდან. მაგრამ არა! თბილისში რუსეთის ახალგაზრდა მომღერლის გამოსვლა „საჭის ბორბლად“ შეაფასეს, ე.ი. ნულით. რატომ? არ გამოვრიცხავ, რომ თავად ნინო სუბლატს და მის კოლეგებს ჟიურიში გადაწყვეტილების მიღების მომენტში შემსრულებელთა გამოსვლებთან დაკავშირებით სტოკჰოლმში თრგუნავდა სამწუხარო აზრები: 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ, იმის შესახებაც, რომ რუსეთის ჯარები თბილისიდან 60 კილომეტრში იმყოფებიან, თვალწინ კი ელვარებდა მიხეილ სააკაშვილის სახე, რომელიც ჭამდა თავის ჰალსტუხს ან ხოხავდა თავისი მცველების ფერხთით გორში...

რას იზამ, ძალიან საგანგაშო აზრებია. მაგრამ რა საერთო ჰქონდათ ამ აზრებს სიმღერის საერთაშორისო კონკურსთან „ევროვიზია-2016“ სტოკჰოლმში?



**ვადიმ ანასტასიადი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

**P. S. ავტორი,** რასაკვირველია, დარწმუნებულია იმ გოლის სამართლიანობაში, რომელიც ჩათვალა ტოფიკ ბახრამოვმა „უემბლის“ სტადიონზე ფეხბურთში 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში. საკითხი ჩვენ მასალაში შეეხება მხოლოდ იმას, თუ როგორი ინტერპრეტაცია გაუკეთა საბჭოთა ლაინსმენის გადაწყვეტილებას მაშინდელმა სპორტულმა გაზეთმა.

**ვ. ა.**

## 26 მაისიდან ერთი თვის განმავლობაში პირადობის მოწმობა უფასოდ გაიცემა

**„იუსტიციის მინისტრის ბრძანებით 26 მაისიდან 26 ივნისამდე პირადობის მოწმობის აღება უფასო იქნება. აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს ეძღვნება და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს პოტენციური ამომრჩევლების მონაცემთა დაზუსტებას.**

**იუსტიციის მინისტრის ბრძანების თანახმად, ახალი პირადობის მოწმობის უფასოდ მიღება შეეძლებათ პირებს 17 წლის ასაკიდან.**

**იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, ელექტრონული პირადობის მოწმობის უფასოდ გაცემის კუთხით არაერთი აქცია განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც 800 000-ზე მეტმა ადამიანმა პირადობის მოწმობა უფასოდ მიიღო.**

**2012 წლიდან დღემდე 1 753 081 პირადობის მოწმობა გაიცა. დღეის მდგომარეობით, საქართველოს 2 084 544 მოქალაქე უკვე ფლობს ელექტრონულ პირადობის მოწმობას.**

* * *

**26 მაისს დაბადებულ ახალშობილებს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაბეჭდილი დაბადების მოწმობები გადაეცემათ. ყველა ახალშობილს, ვინც 26 მაისს დაიბადება, სპეციალურად ამ თარიღის აღსანიშნავად დაბეჭდილი დაბადების მოწმობები გადაეცემა. ახალშობილის დაბადების მოწმობის ყდაზე დატანილია სპეციალური შინაარსის ინფორმაცია: „საქართველოს მოქალაქე დაბადებულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლის აღმნიშვნელ საიუბილეო დღეს“. ანალოგიური მოწმობები მთელი საქართველოს მასშტაბით 2016 წლის 26 მაისს დაბადებული ახალშობილების მშობლებს გადაეცემათ.**

რონ მეტრეველი



# შვიდ სამეფოდ განწესებული

## „რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“



თამარ მეფე.
მხატვარი გიორგი გეგეჭკორი

### რუსთაველის ეპოქის საქართველოს სახელმწიფო საზღვრები

1188 წელს გელათისადმი გაცემულ შეწირულების სიგელში მეფე თამარი ასე წარმოგვიდგება: „ქ.სახელითა ღმრთისაითა მე, თამარ ბაგრატუნიანმან, ნებითა ღმერთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმფლობელმან ვინებე...“ ქართველ მეფეთა ტიტულატურების შინაარსი მეტად მნიშვნელოვანია. იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ზემომოტანილ ტიტულატურაში ქართველი მეფის მფლობელობაში მყოფი ქვეყნებია ჩამოთვლილი: აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა (ტაშირ-ზორაკერტი), შარვანშა (შარვანი) და შაჰანშა (შირაკის სამეფო) — აქ შვიდი სამეფოა ჩამოთვლილი, რომელიც როგორც ზემოთაც აღინიშნა, მეფე თამარის გამგებლობაში შემოდიოდა. ნიშანდობლივია, რომ ქართულ წყაროებში არაერთგზისაა სწორედ „შვიდი სამეფო“ მოხსენიებული და სრულიად კანონზომიერია, რომ მეფე თამარის ტიტულატურა და ისტორიული წყაროების („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) მონაცემები ერთმანეთს თანხვდება. ტიტულატურაში რეალურად აისახა XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე და გეოგრაფიული სიდიდე. მართლაც ამ დროს საქართველო ვრცელი და მრავალეროვანი სახელმწიფოა, რომელშიც საკუთრივ ქართული ტერიტორიების გარდა, სხვა მიწებიც შედიოდა და არაქართული მოსახლეობაც მრავლად იყო. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახელმწიფო, სამეფო კარი დაპყრობილი თუ შემოერთებული ქვეყნების მიმართ ცალხაზოვან პოლიტიკას არ ატარებდა. აქ მრავალი პოლიტიკური ფაქტორი მოქმედებდა, დიდი ადგილი ეკავა დიპლომატიასაც. მეფე თამარის შორსმჭვრეტელური პოლიტიკის (ეს არც მის წინამორბედ მეფეებს აკლდათ) წყალობით, საქართველოს სახელმწიფო ზოგ ქვეყანას უშუალოდ იერთებდა — „სამეფოდ იჭერდა“. ეს უპირატესად იმ შემთხვევაში ხდებოდა, როცა დაპყრობილ ან შემოსაერთებელ ქვეყანაში ქრისტიანული მოსახლეობა სჭარბობდა. ამ ქვეყანაში მმართველობის ისეთივე სისტემა მყარდებოდა, როგორიც თვით საქართველოს სახელმწიფოში იყო. ის ქვეყნები, სადაც მოსახლეობა არაქრისტიანი, უპირატესად მუსლიმური სარწმუნოების მიმდევარი იყო, საქართველოს სახელმწიფოსთან სხვა დამოკიდებულებაში იყვნენ. ეს უკანასკნელი არჩევდა, რომ ასეთი ტიპის დამოკიდებული ქვეყნები „ყმადნაფიცობის“ პირობით ყოფილიყვნენ სახელმწიფოსთან, ე.ი. საქართველოს მეფესთან ვასალური დამოკიდებულება ჰქონოდათ. ამასთან, ეს ქვეყნები გარკვეული ოდენობის ხარკს უხდიდნენ საქართველოს. საკუთრივ მოხარკე ქვეყნებიდან საქართველოს სამეფო კარი ზოგისგან ერთდროულად იღებდა ხარკს, ზოგისგან კი რეგულარულად.

XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოხარკე და ყმადნაფიცი ქვეყნები მეტი ჰყავდა, ვიდრე „სამეფოდ დაჭერილი“, შემოერთებული მიწები.

ქვეყნების „სამეფოდ დაჭერა“, ე.ი. მიწების უშუალოდ საქართველოს საზღვრებში მოქცევა-შემოყვანა ინტენსიურად დავით IV აღმაშენებლის დროს დაიწყო XII საუკუნის პირველ მეოთხედში და შემდგომ ხანაში კიდევ უფრო გაფართოვდა. XIII საუკუნის დასაწყისისათვის „სამეფოდ დაჭერილ“ მიწათა რიგში იყო შირვანის დასავლეთი ნაწილი და ჩრდილოეთი სომხეთი.

როგორი იყო სასაზღვრო ხაზი, რომელიც საქართველოსა და მასზე უშუალოდ შემოერთებულ არაქართულ ტერიტორიებსა და ყმადნაფიც ან მოხარკე ქვეყნებს შორის გადიოდა?

„ჩავჰყარე ზღვაში სამნები
ხმელეთი ჩემსკენ მავიგდე“ —

ხმამაღლა აცხადებს ერთ ხალხურ ლექსში მეფე თამარი. მართლაც ფართო, ვრცელი იყო თამარის დროის საქართველო. საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარი ჟამთააღმწერლის მიხედვით, ჩალან-უსუნზე, ანუ თეთრ წყლებზე გადიოდა. თეთრი წყლის აღმოსავლეთით საქართველოს ყმადნაფიცი შირვანი მდებარეობდა. არსებობს ჟამთააღმწერლის სხვა ცნობა, რომელიც კიდევ უფრო აზუსტებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს აღმოსავლეთით — რომ ეს საზღვარი გადიოდა თეთრ წყალსა და შამახიის მთის ძირას (თეთრი წყალი შამახიას მთის დასავლეთ ფერდობს ჩამოუდის). საკუთრივ საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი უფრო დასავლეთით — გიშის წყალზე გადიოდა. ადგილს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო და ეთნიკურ საზღვრებს შუა იყო, ყაბალა ერქვა.

მთელი დასავლეთი საქართველო სრულიად საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ასე რომ, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევდა.

სამხრეთი საზღვარი აღწევდა კარნუ ქალაქამდე. „ყოველი სომხითი“ ქურდვაჭრის იქითა (აღმოსავლეთი) მხარეა (ბასილი ეზოსმოძღვარი), რომელშიც იგულისხმება კაენისა (მდ. აღსტევის ხეობაში) და კაიწონის (მდ. ქურდვაჭრის — დებედის მარჯვენა მხარე) ციხეები. უფრო რომ დავაზუსტოთ, ესაა გარდაბანი, ე.ი. ტერიტორია, რომელიც ქურდვაჭრის (მდ. დებედა) ხევსა და მდ. აღსტევს შორის მდებარეობდა (ჟამთააღმწერელი). შამქორის მიმდგომი ქვეყანა საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთით მდებარე საზღვრისპირა მხარე ყოფილა. ამ მხარეში ნაგულისხმევია გელაქუნის ტბასა და მდ. მტკვარს შორის მოქცეული ტერიტორია.

საერთოდ, საქართველოს სამხრეთი საზღვარი ჩანს მდ. რახსი და ნახჭევანი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

თამარის დროინდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი სპერია („ჯავახეთით სპერამდის“). აღმოსავლეთით მეფე თამარის მიერ „დაჭერილი“ ტერიტორია გაგსა და განძას შორის მდებარეობდა. გაგი მდ. დებედის ქვემო წელზე მდებარე ციხეა. ამგვარად, მდ. დებედა ჩანს ის სამანი, რომლის სამხრეთითა და აღმოსავლეთით თამარის მიერ შემოერთებული მიწებია. ამ ტერიტორიის უკიდურესი მიჯნა აღმოსავლეთით არის განძა (განძის საათაბაგო, რანი), სამხრეთით — მდინარე არეზი, ანუ რახსი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით — ჭოროხის ზემო წელზე მდებარე პროვინცია — სპერი (სპერი და მისი მიმდებარე ჭანეთი მეფე თამარის მიერ დაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში შედიოდა).

XIII საუკუნის ათიანი წლების საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი გადიოდა კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ და საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი (დვალეთი, ხევი, თუშეთი) უშუალოდ სამეფოში შემოდიოდა. ჩრდილო-დასავლეთით უკიდურესი წერტილი ნიკოფსი იყო, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი — შამახიის მთა. კავკასიონის (ე.ი. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის) მიღმა მდებარეობდა საქართველოს ყმადნაფიცი (ვასალური) ქვეყნები: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი, დარუბანდი. საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ აგრეთვე აღმოსავლეთი შირვანი და რანი.

საქართველოს ხარკს უხდიდნენ: ხლათის სასულტნო, ერზინკის სასულტნო, კარნუ-ქალაქის საამირო, ნახჭევანის საამირო (ქართული ნარატიული ძეგლების გარდა, ამას ადასტურებს არაბი იბნ ალ-ასირიც).

რაც შეეხება ტრაპიზონის სამეფოს — ეს იყო თამარის მიერ შექმნილი, საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში მყოფი იმპერია. მისი დამოკიდებულება საქართველოსთან განსაკუთრებული იყო.

ამგვარად, XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველო ვრცელი ქვეყანა იყო. მისი საზღვრები შორს იყო გადაჭიმული და რეალურად მეტყველებდა სახელმწიფოს ძლიერებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ხალხმა დიდი იმპერიის მპყრობელად წარმოგვიდგინა სახელოვანი მეფე:

**„პონტოს ზღვით გურგანის ზღვამდე,**
**ამერნი ხაზარეთამდე,**
**თვით გელაქუნი ჩრდილო კერძ,**
**მპყრობელი სულ ყივჩაყამდე“.**

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისის“ ავტორმა ბასილი ეზოსმოძღვარმა ხმამაღლა განაცხადა, რომ წინაპართა მიერ დატოვებული ტერიტორია მეფე თამარმა ერთი ორად გაზარდაო და დაასკვნა: „გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან“.

წმიდა მეფე თამარი გარდაიცვალა 1213 წლის 27 იანვარს. დაკრძალულია გელათის მეფეთა საძვალეში (არ არის გამორიცხული, რომ გარკვეული ხნის შემდეგ მისი შვილის გიორგი IV ლაშას თაოსნობით იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაეკრძალათ).

წმიდა მეფე თამარის მემკვიდრეები და საქართველოს მეფეები იყვნენ გიორგი IV ლაშა (1213-1223 წ.წ.) და რუსუდანი (1223-1245წწ). მეფე თამარის მემკვიდრეებმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს საქართველოს ისტორიას.

### ამომავალი მზის დარი

რუსთველის ეპოქის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის საქართველოს სახელმწიფოს წინსვლა-განვითარების საქმეში, როგორც ზემოთ ხაზგასმით აღინიშნა, გამორჩეულნი იყვნენ წმიდა დავით აღმაშენებელი და წმინდა მეფე თამარი.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა საზოგადოებამ გადაჭრა შუა საუკუნეებისათვის მეტად რთული და მნიშვნელოვანი საკითხი — ქალის ხელისუფლების პრობლემა. სამეფო ტახტზე აიყვანეს ქალი, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს სრულუფლებიანი საჭეთმპყრობელი და მეფეთამეფე.

თამარის ნათელმა პიროვნებამ, მისმა ძლევამოსილმა მეფობამ, წინდახედულმა პოლიტიკამ და გამჭრიახობამ, თანამედროვეთა აზრით, დიდად შეუწყო ხელი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ აყვავებას. ყოველივე ამის გამო ხალხმა ხოტბა შეასხა თავის სათაყვანებელ დედოფალს.

მემატიანეებმა გულუხვი ეპითეტებით შეამკეს თამარ მეფე: „სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“, „გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა“, „მზეთა მზე და დედოფალთა დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინებული“ და სხვ. თამარის ისტორიკოსის ცნობით: „ესრეთ ყოველი სოფელი სავსე იყო მისმიერთა ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ისმოდა“. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, „გლეხთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება თამარ მეფისა“. მემატიანეთა ცნობებს, იმდროინდელი პოეტებისა და ქართული ფოლკლორის ძველად დაფიქსირებულ ნიმუშებთან ერთად, თვალნათლივ ადასტურებენ სრულიად საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბოლო პერიოდის მთქმელებიც. ნიშანდობლივია, რომ თამარს აქებენ და მაღალ შეფასებას აძლევენ მის მოღვაწეობას არა მარტო ქართველი მელექსე-მთქმელები, არამედ ოსები, ჩერქეზები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვები (ქ. სიხარულიძე, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, თბ., 1943). თამარის პოპულარობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავდა, უპირველესად, იგი განაპირობა თვით ძლიერმა ეპოქამ, ქვეყნის პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა მდგომარეობამ, იმ ფაქტორმა, რომ ამ სიძლიერისა და წარმატებულობის შემოქმედი იყო ქალი — სრულიად საქართველოს მეფე თამარი, მემატიანეთაგან გარეგნობით ულამაზესად წარმოჩენილი (ასეთივე შემორჩა ძირითადად მისი სახება ჩვენამდე მოღწეულ ფრესკებსაც), რომელსაც სიცოცხლეშივე უმღეროდნენ. ეს პერიოდი — საქართველოს „ოქროს ხანა“ — ასევე ამაღლებულად, შარავანდედით მოსილი შემორჩა შთამომავლობის მეხსიერებას.

თქმულებათა საფუძველი ისტორიული მოვლენებია, რომლებიც ხანგრძლივი დროის სპექტრში გარდატეხილი მივიდა ხალხამდე. ის ფანტასტიკურიც კი, რაც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებშია დაცული, სინამდვილიდან იღებს სათავეს.

ბუნებრივია თამარის ქველმა საქმიანობამ და ბრძნულმა მოღვაწეობამ ხალხიც აღაფრთოვანა და ამ უკანასკნელმაც არა ერთი და ორი სიმღერა-ხოტბა უძღვნა საყვარელ მეფე-ქალს:

**უფლისა იყო ბრძანება,**
**შაირტყა მამის ხმალიო,**
**მამის სამეფო აიღო, თვითონ**
**ბრძანდება ქალიო;**
**ხმელეთ თავისად მაიგდო,**
**იმდენიცა აქვს ძალიო;**
**შუა ზღვას ჩადგა სამანი,**
**ამანი რკინის კარიო.**

(„ბრძანებდა დამბადებელი“).

სხვათა შორის, თამარის მიერ სამნის (მიჯნის) დადება მოსაზღვრე ქვეყნებთან სხვა ხალხურ ლექსებშიცაა ხაზგასმული.

**თამარ დედოფალი ვიყავ,**
**დიდი სახელი გავიგდე,**
**შემოვუარე ხმელეთსა,**
**წილი არავის დავუდე,**
**ჩავჰყარე ზღვაში სამნები,**
**ხმელეთი ჩემკენ გავიგდე.**

(„თამარ მეფეზე“).

**მეფე თამარი დიდი იმპერიის**
**მპყრობელადაა მიჩნეული:**
**„პონტოს ზღვით გურგანის ზღვამდე,**
**ამერნი ხაზარეთამდე,**
**თვით გელაქუნი ჩრდილოთ კერძ,**
**მპყრობელი სულ ყივჩაყამდე“.**

ზოგიერთი ლეგენდის მიხედვით თამარი მთელი მსოფლიოს მპყრობელია. საინგილოში არსებობს თქმულება საქართველოს მეფე-ქალის მიერ ისპაანის, სტამბოლისა და სხვა ქალაქების მის მოხარკედ გახდომის შესახებ. მესხური გადმოცემით, მეფე თამარის შიშით თათრები ძალზე იყვნენ შეწუხებულნი. იმერეთში ჩაწერილი ლეგენდის შესაბამისად, თამარის შიშით ხონთქარი და შაჰი ძრწოდნენ.

ბუნებრივია, ეს გადმოცემები თამარ მეფის ძლევამოსილი ბრძოლებისა და გამარ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 36, 41, 44, 49, 54, 59, 64, 69, 74, 79, 91

ჯვებების შემდეგ იქმნებოდა. ცხადია, ხალხმა იცოდა შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში გამარჯვება, იცოდა იმის შესახებ, რომ ქართველთა ჯარმა დაიპყრო ქართველი ტომებით დასახლებული ჭანეთი (ლაზისტანი), დაიმორჩილა ტრაპიზონი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა და ერაკლეა; ამ ქვეყნებიდან თამარმა შექმნა ტრაპიზონის სამეფო.

სწორედ ამიტომ ათქმევინა ხალხმა თამარს:

**„ჩავჰყარე ზღვაში სამნები,**
**ხმელეთი ჩემკენ დავიგდე“**

ძლევამოსილი გამარჯვებების შემდეგ თამარს უფლება ჰქონდა ხმამაღლა ეთქვა:

**ქაჯებსა დავდე იჯარა,**
**ისპაანს ხარჯი ავიღე,**
**სტამბოლს ხმალი ვკარ,**
**დარუბანდს, შამს საბალახე ავიღე,**
**უსიერი მთა გავკაფე,**
**დიდი შარა-გზა გავიღე,**
**ღადა-ღუდა ტყე ვიარე,**
**ქვაზე საყდარი ავიგე.**

(„თამარ დედოფალი ვიყავ“)

ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით თამარს დედამ უწინასწარმეტყველა დიდი მომავალი:

**თამარს უამბო დედამა,**
**შენზედ სიზმარი ვნახეო.**
**ერთსა სარკეში ჩავხედე,**
**ხმელეთ სულ დავინახეო,**
**შენ იყო, შვილო, ქვეყანა,**
**შაგნებით შაინახეო.**

(„სიზმარი“)

ფშავში გავრცელებულია საფერხულო სიმღერა, რომელიც მეფე თამარის გმირულ სახეს გვიხატავს. საფერხულო ლექსის სიმბოლიკა ნათლად მიგვანიშნებს საქართველოს მეფის მიერ საზღვრების გაფართოებასა და გამაგრებაზე:

**„ბრძანებდა მამა უფალი —**
**თამარ განეფდეს ქალია,**
**დაიგდოს მამის სახელო,**
**შაირტყას მამის ხმალია,**
**სახელით გამარჯვებული**
**თამარი დედუფალია!**
**ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,**
**გადააქანა ზღვანია;**
**შუა ზღვას ჩადგა სამანი, სამანი,**
**რკინის სარია,**
**ხმელეთი ჩვენსკენ დაიგდო,**
**ღმერთო მიმრავლე ყმანია!“**

თამარ მეფე დიდ აღმშენებლობით მოღვაწეობას ეწეოდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. თამარის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი საერო თუ სასულიერო (საკულტო) ნაგებობა.

**სივანს ციხე ამიგია,**
**ახალციხეს ყველაწმინდა,**
**ას-ორასი მარილს**
**ქვა პურ-უხვდურზე გადმიგია...**

(„სივანს ციხე ამიგია“)

„ქვაზე საყდარი ავიგეო“ — ეს თამარის ამაყი სიტყვებია. მესხეთში შემორჩენილ ერთ ხალხურ ლექსში მეფე თამარი უდიდესი მზრუნველობით ეკიდება მშენებლობებს:

**„ვარძია ვნახე ლამაზი,**
**თამარის გამოჭრილია,**
**სხვა მონასტრებიც ააგო გაკუთხული**
**და თლილია,**
**ააგო ციხე-ქალაქნიც, უწყლოს**
**ადინა წყალია**
**სუყველანი გააკვირვა,**
**რა არის თამარ ქალია...“**

ვარძიის აგებაზე არაერთ თქმულებაშია საუბარი. ზოგი გადმოცემით, თამარმა ვარძია ღვთის ბრძანებით ააგო, ზოგის მიხედვით კი, მეფე-ქალს კლდეში ქალაქი გამოუკვეთავს მძვინვარე შაჰისაგან თავის გვამის დამალვის მიზნით. არ არის შემთხვევითი, რომ ხალხმა მრავალ ტაძარსა თუ ხიდს სტიქიურად თამარის სახელი უწოდა, რაც მეფის ფართოდ გაშლილი სამშენებლო მოღვაწეობის დამადასტურებელია. ერთი ინგილოური თქმულება გვაუწყებს, რომ თამარს აუშენებია გორის ციხე მისთვის თავგანწირული ჭაბუკის პატივსაცემად. სვანური ცნობებით, სვანეთში თოთხმეტი სალოცავი მეფე თამარის აგებულია და ძვირფასი ხატებიც მისი მოტანილია. საგულისხმოა, რომ ოსური ლეგენდა მიაწერს საქართველოს მეფეს იალბუზის მთაზე ძვირფასი კოშკის აგებას. მისი მითითებით მოჰქონდა მერცხალს ქვიშა, წეროს — ქვა და ამგვარად შენდებოდა მიუვალ მთებსა და კლდეებზე ციხეები და ეკლესია-მონასტრები. თამარის მიერ წარმოებული მშენებლობის შესახებ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია შემორჩენილი ლეგენდა-თქმულებები.

როცა თამარი „მაღალმა ღმერთმა“ ხონთქარს წაჰკიდა, ქართველმა მეფემ სასწრაფოდ ჩაუშვა ზღვაში ხომალდები, შიგ ქართველთა ლაშქარი მოათავსა და გამარჯვების შემთხვევაში „მრავალს წყალობას დაჰპირდა“.

**თამარ მეფე და ხონთქარი**
**მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,**
**ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,**
**ზედ ალმასები დაჰკიდა,**
**შიგ ჩასვა ქართველთ ლაშქარი,**
**მრავალ წყალობას დაჰპირდა.**

ეს ლექსი თამარ მეფის ძალასა და ძლიერებაში დარწმუნებულ ხალხს შეუქმნია. მასში თუმცა გამარჯვებაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ გვჯერა, რომ ქართველი მეფე ლაშქარს გამარჯვებულს გამოიყვანს ბრძოლიდან. ასე სჯეროდა შემოქმედ ქართველ ხალხსაც, ეს ლექსი ჩვენში საკმაოდ გავრცელებული არქაული რიტმისა და კილოს საფერხულოა.

თამარი, ხალხის წარმოდგენით, ისეთი კეთილი ადამიანი იყო, რომ მისი ყმობა სასურველად ითვლებოდა:

**ათასი კაბა ყმა მყავდა,**
**ყველანი ოქროს ღილითა,**
**ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,**
**ვასმევდი ბროლის ჭიქითა...**

ხალხურ გადმოცემებში განსაკუთრებული სიყვარულით აისახა მეფე თამარის ქორწილი დავით სოსლანთან. მემატიანე თამარის მეუღლესაც გამორჩეულად ამკობს, „იყო შვილი ოვსთა მეფისა ყრმა გვარადაც ბაგრატოვანი. ფრიად მშვენიერი ასაკითა, ვითარცა შვენის მეფეთა შვილსა... ზრდილობითა კეთილად წრთუნილი, მხნე მხედარი ძლიერი; მხნე და ძლიერი რაინდობითა და შვილდოსნობითა უსწორო, შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ სრული სიკეთითა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება თბ., 2008, გვ.488)

ქორწილი დიდუბეში დიდი ზეიმით გადაიხადეს. ამის შესახებ შემორჩენილია ხალხური ლექსი:

**„საქართველოს დედოფალი,**
**დედა ქართლისა თამარი,**
**სიმშვენიერით მოსილი,**
**ამომავალი მზის დარი**
**დავით სოსლანის მეუღლე,**
**რომელს უმშვენა მან მხარი, —**
**დიდუბეში იქორწინა,**
**სადაც რომ საყდარი არი,**
**ნადიმობა გაუმართა,**
**მოიწვია თვისი ჯარი:**
**ასი სული ცხვარი დაკლა და**
**ორასი ნიშა ხარი,**
**ლურჯი სუფრა გაუშალა,**
**იქნებოდა ასი მხარი,**
**ქვრივ-ობლებსა უწყალობა ოქრო,**
**ვერცხლი დიდი ძალი“.**

ერთხელ თამარ მეფე სანადიროდ წასულა გორის მახლობლად, მონადირეები დიდძალი ნანადირევით დაბრუნდნენ. არ ჩანდა დედოფლის საყვარელი მიმინო. იგი თურმე გორის ბორცვის კლდის გამოშვერილ ქიმზე ჩამომჯდარიყო. გორის ბორცვი კუნძულივით იყო მტკვრის, ლიახვისა და მეჯუდის წყლებს შორის. აქ საშინელი მორევი ტრიალებდა. თამარმა ბრძანა: ვინც მიმინოს მომიყვანს, ყოველგვარ საწადელს ავუსრულებო.

„ტბა — მორევი კი ღელავდა . დედოფლის დავალების ამსრულებელი კი არ ჩანდა, მაგრამ უცებ გამოვიდა ვიღაც მშვენიერი ჭაბუკი, ფიცხლავ თავი დაუკრა თამარ მეფეს, დაეშვა გორიდან და გადახტა მორევში... მიმინო ხელთ იგდო და მღელვარე ტალღებში გადაეშვა ისევ“. თამარი ფიქრობს:

„პირობა დავუდე, რასაც მთხოვ, აგისრულებო: ხელი რომ მთხოვოს? — გაიფიქრა უცებ თამარმა. გულში შეევედრა ღმერთს: თუ ასეთი განზრახვით მოჰყავს მიმინო, ღმერთო, დაღუპე და მორევს მიეცი“.

და აქ თავს იჩენს ამ თქმულების შემქმნელი ხალხის სურვილი. სურვილი ხალხისა, რომლის წარმოდგენაში ქართველი მეფის შესაფერისი საქართველოს მიწა-წყალზე არ მოიპოვებოდა და, ბუნებრივია, თუ ეს ყმაწვილი გაკადნიერდებოდა და ოდნავადაც კი გაივლებდა გულში „უკადრის ზრახვას“, მაშინ ღმერთი სამაგიეროს მიუზღვავდა. და მართლაც:

„წყალმა ჩაძირა გმირი ჭაბუკი. ინნა თამარმა და ცოდვის მოსახსნელად ეს კეთილი საქმე ჰქმნა: ტბაომრევი, რომელიც ყოველწლივ რამდენიმე კაცს ახრჩობდა, ჩაუშვა მტკვრის კალაპოტში და დაწრიტა. ბორცვზე კი ააგო მაგარი გორის ციხე“ („დაიღუპოს თუ ცუდი განზრახვით მოდის“).




საქართველოს რუკა თამარის მეფობის პერიოდში

**ანონსი**

**მომავალ ხუთშაბათს:**

## მეფე თამარი და შოთა რუსთაველი.



## ქართული ცეკვებით ქართველ ებრაელებთან

**ისრაელში** ოთხდღიანი წარმატებული გასტროლების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა ქუთაისელ მოცეკვავე ბავშვთა ანსამბლი „შუშპარი“, რომელსაც ცნობილი ქორეოგრაფი, ბრწყინვალებისა და ღირსების ორდენოსანი არმაზ ლიპარტელიანი ხელმძღვანელობს.

ნორჩებმა რამდენიმე კონცერტი გამართეს ქალაქ ნეთანიაში, მათ შორის ღია ცის ქვეშ და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

**სურათზე:** ნორჩი მოცეკვავეები და მათი ისრაელი თაყვანისმცემლები, მათ შორის ქართველ ებრაელთა სათვისტომოს თვალსაჩინო წარმომადგენლები, ერეც-ისრაელის ქართულენოვანი თეატრის თავკაცი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზური ბოთერაშვილი და პოეტი ნანა შაბათაშვილ-დავარი.

დარეჯან გოგოლაძის ფოტო.

## „დღეიდან საქართველოს ცა დაზღვეულია“

**საჰაერო** ნავიგაციასა და სადაზღვევო კომპანია „უნისონს“ შორის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ღონისძიებას ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი დაესწრო, რომელმაც განაცხადა, რომ დღეიდან საქართველოს ცა დაზღვეულია. საქაერონავიგაციაში კი პროექტის უპრეცედენტობაზე საუბრობენ, რომელსაც საქართველოს საავიაციო ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება.

„ეს ნიშნავს იმას, რომ თუ მოხდება რაიმე გაუთვალისწინებელი ჩვენს საჰაერო სივრცეში გადაფრენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობები სრულად დაზღვეულია მესამე პირისთვის და ეს სადაზღვევო პრემია შეადგენს 500 მილიონ დოლარს. ეს არის ერთი მხრივ, ვალდებულება, რაც ჩვენ გვაქვს ევროპის ცასთან შეერთებით, მეორე მხრივ, ეს არის აუცილებელი თვითონ ქვეყნისთვის, რომ რისკები იყოს სრულად მართული. აღნიშნული თანხები დღეს რეალურად ჩადებულია გადამფრენის ტარიფში, შესაბამისად, ეს პრაქტიკულად გადახდილია გადამფრენი კომპანიების მხრიდან“, — განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ღია ტენდერი მიმდინარე წელს გამოცხადდა, სადაც კომპანია „უნისონმა“ გაიმარჯვა. საჰაერო სივრცის დაზღვევა გულისხმობს, რომ თუ საქართველოს საჰაერო სივრცეში კომპანიის ბრალეულობით მოხდება რაიმე საავიაციო ინციდენტი, დაზარალებულის უფლებები ყოველმხრივ დაცული, ხოლო ზარალი ანაზღაურებული იქნება.



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პიოტრ პოროშენკოს კონკურენტი გამოზარდა



## მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ანტიკორუფციულ პარტიას ქმნის

**ოდესის გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს თანამებრძოლებთან ერთად განზრახული აქვს, შექმნას ახალი პარტია. ამის შესახებ განაცხადა უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ.**

ახალი პოლიტიკური ძალის ელექტორალურ ბაზად იქცევა მცირე და საშუალო ბიზნესი, მიაჩნია დავით საყვარელიძეს, რომელსაც განზრახული აქვს, შევიდეს ამ ახალ პროექტში. „მიხეილ სააკაშვილი, რასაკვირველია, ჩვენთან იქნება. და იგი იქნება ამ ახალი პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი და დრაივერი“, — განაცხადა ბატონმა საყვარელიძემ, რომელიც ადრე გაათავისუფლეს უკრაინის გენერალური პროკურატურიდან „საპროკურორო ეთიკის წესების უხეში დარღვევისათვის“.

ახალი პარტია შეიქმნება მიხეილ სააკაშვილის ანტიკორუფციული ფრონტის ბაზაზე, რომელსაც ეწოდება „მოძრაობა გაწმენდისათვის“. დავით საყვარელიძის სიტყვებით, პარტიის შექმნის შესახებ „აქტიურად მიმდინარეობს კონსულტაციები ყველა ჯანსაღ პოლიტიკურ და სამოქალაქო ორგანიზაციასთან“. ახალი პოლიტიკური სტრუქტურის სახეები შეიძლება გახდნენ დეპუტატები „პიოტრ პოროშენკოს ბლოკიდან სერგეი ლეშჩენკო და მუსტაფა ნაიემი, ვისთანაც, როგორც ჩვენ გაზეთს აცნობეს კოლეგებმა ფრაქციიდან, „მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები“.

ჩვენი მოსაუბრეების აზრით, პარტიის შემქმნელები ვერ დაეთანხმნენ ერთმანეთს მის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. „მათ ნაწილს მიაჩნია, რომ საჭიროა, ვიყიდოთ და სახელი შევუცვალოთ უკრაინის ერთ-ერთ პარტიას, რათა მივიღოთ უკრაინაში ხანგრძლივი პოლიტიკური ბიოგრაფია. ნაწილს მიაჩნია, რომ ყველაფრის რეგისტრაცია ხელახლა უნდა მოხდეს“, — განაცხადა თანამოსაუბრემ. დავით საყვარელიძეს, მაგალითად, მიაჩნია, რომ პარტია იქნება აბსოლუტურად ახალი, რომელიც ნულიდან შეიქმნება“: „არაფრის გადაკეთებას ან სახელის გადარქმევას ჩვენ არ ვაპირებთ“.

ჩვენი თანამოსაუბრე შეგვახსენებს, რომ გაზაფხულზე „მოძრაობამ გაწმენდისათვის“ და მისმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა მოაწყვეს ანტიკორუფციული ფორუმები უკრაინის საოლქო ცენტრებში და დარწმუნდნენ, რომ ხალხი მათ მხარს უჭერს. „მაგრამ ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ თავად მიხეილ სააკაშვილი უარყოფდა მოძრაობის პარტიად გარდაქმნის შესაძლებლობას. ახლა მან გადასინჯა თავისი შეხედულებები“, — გვითხრა თანამოსაუბრემ.

ჩვენი თანამოსაუბრე რადიკალურ პარტიაში ამტკიცებს, რომ „საკითხი შეეხებოდა იმას, მონახავს თუ არა მიხეილ სააკაშვილი დაფინანსებას ახალი პარტიისთვის. თანხები სახელდებოდა სავსებით თავმდაბლურად უკრაინული პოლიტიკური ბაზრისათვის, ეს არ ყოფილა ათობით მილიონი დოლარი. და, როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილმა გამონახა ეს თანხები, წინასწარ დაადასტურა თავისი ეფექტიანობა ქვეყანაში მოგზაურობით ანტიკორუფციული ფორუმებით“.

ჩვენი თანამოსაუბრის აზრით, ახალი პარტიის შექმნას „მხარს უჭერს უკრაინის პრეზიდენტის მომხრეები, ვარაუდობენ, რომ მომავალ არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილი იმუშავებს იულია ტიმოშენკოს „ბიტკივშინისა“ და ოლეგ ლიაშკოს რადიკალური პარტიის წინააღმდეგ“. „მაგრამ ისინი აქ ცდებიან: ბატონი სააკაშვილი შეძლებს პრეტენზია განაცხადოს უკრაინის პრეზიდენტის როლზე და აღმოჩნდება პიოტრ პოროშენკოს კონკურენტი“, — აღნიშნავს ჩვენი თანამოსაუბრე რადიკალურ პარტიაში.

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩვენს გაზეთს განუცხადეს, რომ ნამდვილად მხარს უჭერენ ანტიკორუფციულ მოძრაობას. „უკრაინის ყველა ანტიკორუფციული სტრუქტურა შექმნა უკრაინის პრეზიდენტმა, ის აწარმოებდა ანტიოფშორული კანონმდებლობის ინიციირებას და მხარს უჭერს ყველა პოლიტიკოსს, რომლებსაც განზრახული აქვთ, გაასუფთაონ უკრაინა კორუფციისგან“, — გვითხრა თანამოსაუბრემ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ამავე დროს უკრაინელი პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ უკრაინელი ამომრჩეველი ახალ პარტიას მიიჩნევს „მესამე ძალად“, და არა მეხუთე კოლონად“. ამის შესახებ ჩვენ გაზეთს უთხრა უკრაინის ანალიტიკისა და მენეჯმენტის პოლიტიკის ინსტიტუტის წარმომადგენელმა რუსლან ბორტნიკმა. მისი სიტყვებით, „საზოგადოება უჩვენებს მოთხოვნას კორუფციასთან ბრძოლაზე და ახალ პარტიას შეუძლია ითამაშოს ამაზე“.

Коммерсантъ

# ახალ 20-დოლარიან ბანკნოტებზე ქალს გამოსახავენ



**ახალ 20-დოლარიან ბანკნოტებზე აფროამერიკელი აქტივისტი ქალის, მონობის წინააღმდეგ მებრძოლი ჰარიეტ ტაბმენის სურათი გამოჩნდება.**

**ბოლო 100 წლის მანძილზე დოლარებზე ქალის სურათი არ გამოუსახავთ. პირველად, 1891-1896 წლებში, 1 დოლარის ნომინალის ვერცხლის სერტიფიკატზე ამერიკის პირველი ლედის — მართა ვაშინგტონის პორტრეტი იყო გამოსახული, ხოლო 1865-1869 წლებში, 20-დოლარიან კუპიურაზე - ინდიელი პრინცესა პოკაჰონტასი.**

**ჰარიეტ ტაბმენი ახალ 20-დოლარიან კუპიურებზე აშშ-ის მე-7 პრეზიდენტ ენდრიუ ჯექსონს შეცვლის.**

**ჰარიეტ ტაბმენი 1820 წელს მერილენდის შტატში მონის ოჯახში დაიბადა. იგი 1849 წელს ამერიკის ჩრდილოეთში გაიქცა და მონობის წინააღმდეგ მებრძოლ აბოლიციონისტების მოძრაობას შეუერთდა. ახალი ბანკნოტები მიმოქცევაში 2020 წლისთვის საკონსტიტუციო ცვლილების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით შევა, რომლის თანახმად, ქალებს ხმის მიცემის უფლება მიენიჭათ.**

**კამპანიის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ ეს დაგვიანებული ცვლილება გენდერული თანასწორობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.**

# ჩელიაბინსკის მკვიდრმა ბინაში ლუდსადენი გაიყვანა

**ჩელიაბინსკელმა ანდრეი ერემეევმა საკუთარი ბინის სამზარეულოში ლუდსადენი გაიყვანა. სუსტალკოჰოლიანი სასმელი, ქვედა სართულზე მდებარე ლუდის მაღაზიიდან, ერემეევის ბინაში ადის და სამზარეულოს ერთ-ერთი ონკანიდან მოედინება. საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე ახალი სავაჭრო წერტილის გახსნამ ჩელიაბინსკელს იმ იდეის ხორცშესხმის საშუალება მისცა, რომელზეც მთელი მსოფლიოს მამაკაცები ოცნებობენ.**



**იმისთვის, რომ ლუდს პირდაპირ ონკანიდან ედინა, ერემეევს საყოფაცხოვრებო ინსპექციაში საგანგებო პროექტის შეტანა დასჭირდა. ლუდის კეგი მაღაზიის სათავსოში მდებარეობს, უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული მილი და გამაგრილებელი სისტემა კი კედელშია დამონტაჟებული. ერემეევი ლუდსადენზე დახარჯულ თანხას საიდუმლოდ ინახავს და ძალიან მოხარულია, რომ დიდი ხნის ოცნება აისრულა.**

# ჩინელი ქალები საკუთარ ტანწერწეტობას კუპიურებით ზომავენ

**ჩინეთის სოციალური ქსელები ახალმა ფლეშმობმა მოიცვა — ქალები საკუთარ ტანწერწეტობას მაჯაზე შემოხვეული ბანკნოტით ამოწმებენ.**



**ფლეშმობის მონაწილეები ტესტისთვის 100 ჩინურ იუანს იყენებენ, რომლის ზომა 155/77 მილიმეტრს შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ ბანკნოტი მაჯას მთლიანად შემოეხვევა და მცირე ადგილსაც არ დატოვებს, ქალი ძალიან გამხდრად და შესაბამისად, ლამაზად ითვლება.**

**ზოგიერთი ქალბატონი უფრო შორს წავიდა - მცირე ზომისა და სხვა ნომინალის კუპიურების გამოყენებაც კი დაიწყო. ეს ინიციატივა ჩინეთის სოციალური ქსელების მრავალმა მომხმარებელმა დაგმო და არაბუნებრივი სიგამხდრისკენ მოწოდებად მიიჩნია.**

# ნორვეგიელებმა უჩვეულო ფორმის რობოტი გამოიგონეს

**ნორვეგიულმა კომპანია Kongsberg Maritime-მა ახალი რობოტი გამოიგონა, რომელსაც უჩვეულო — გველის ფორმა აქვს და ცურვა წყალქვეშ შეუძლია. აპარატი საზღვაო ინსპექციასა და დანადგარების შეკეთებას მოემსახურება.**

**მეცნიერებმა რობოტის შექმნას 10 წელი მოანდომეს. ისინი ვარაუდობენ, რომ დანადგარი იმ ძვირადღირებულ აპარატებს შეცვლის, რომელიც წყალქვეშა გარემოს იკვლევს. რობოტი, მოქნილობის წყალობით, ძნელმისადგომ ობიექტებთან თავისუფლად იმუშავებს. მისი მართვა დისტანციურად — პულტის მეშვეობით განხორციელდება.**

**გამომგონებლების ინფორმაციით, რობოტი წყალქვეშა გარემოს მონიტორინგისთვის შეიქმნა. მას ობიექტების განათების, დაზიანებული დანადგარების შესწავლის, ჭანჭიკების მოჭერისა და ვიდეოჩაწერის ფუნქცია გააჩნია. კომპანიის მუშაკები იმედს გამოთქვამენ, რომ ახალი გამოგონება წყალქვეშა ინსპექციის ხარჯებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.**

**მოამზადა ნინო ნიორაძემ**

# დედამიწის ზურგზე

**დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ისაუბრა ნატოს ბატალიონის შექმნის შესახებ რუსეთის ფედერაციასთან დასაპირისპირებლად**

**ამ საერთაშორისო ბრიგადაში იგეგმება, ჩართონ 5 ბატალიონი, დაახლოებით 5 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც მზად იქნებიან გადასროლისათვის ნებისმიერ წერტილში ორი დღე-ღამის განმავლობაში, ავანგარდს კი შეუძლია დაიკავოს პოზიციები სულ რამდენიმე საათში. ამის შესახებ მაიკლ ფელონმა განაცხადა პარლამენტის კომიტეტში მოსმენაზე, რომელიც მიეძღვნა რუსეთის ფედერაციის სამხედრო შეკავებას.**



* * *

**ავღანელმა თალიბებმა ამერიკული უპილოტო თვითმფრინავის მიერ დარტყმის შედეგად გარდაცვლილი მოლა მანსურის ნაცვლად დანიშნეს ახალი ლიდერი**

**განცხადება თალიბების ახალი წინამძღოლის შესახებ ოთხშაბათს, 25 მაისს გაიგზავნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ახლა რუსეთში აკრძალულ ექსტრემისტულ მოძრაობას „თალიბანს“ სათავეში ჩაუდგება მოლა ხაიბატულა ახუნძადა, მანსურის ერთ-ერთი მოადგილე. იგი აირჩიეს თალიბების ლიდერების შეხვედრაზე, რომელიც, სავარაუდოდ, პაკისტანში გაიმართა.**

* * *

**ეგვიპტური A320-ის კაბინაში ავარიის შემდეგ გაიზარდა ტემპერატურა, ამტკიცებს პრესა**

**გაზეთმა Al Ahram გამოაქვეყნა ელექტრონული ცნობების ინფორმაცია, რომელიც გადმოსცა ლაინერმა პარიზიდან კაიროსკენ ფრენის დროს. მონაცემთა ნაწილი მოწმობს იმის შესახებ, რომ თვითმფრინავის ძრავები საშტატო რეჟიმში მუშაობდნენ, მაგრამ რადარიდან გაქრობამდე რამდენიმე წუთით ადრე თვითმფრინავმა გადმოსცა ცნობა ტემპერატურის დონის ამაღლების შესახებ მეორე პილოტის ფანჯარასთან.**

* * *

**პენტაგონი არ გეგმავს რუსეთთან ერთობლივ ოპერაციებს სირიაში**

**რუსეთის მხრიდან ურთიერთმოქმედების შესაძლებლობის შესახებ აცხადებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი, ამერიკის მხრიდან — სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ურთიერთმოქმედების საფუძველშია — მემორანდუმი უშიშროების შესახებ სირიის ცაში და იგი სრულდება ეფექტიანად.**

* * *

**ქურთ-არაბთა ალიანსმა დაიწყო სირიაში ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქ რაკეზე შეტევა**

**ქურთული წყაროები აცხადებენ, რომ შეტევაში მონაწილეობას ღებულობს ათობით ათასი კაცი, რომლებსაც შეუძლიათ, აიღონ ქალაქი და გაათავისუფლონ იგი ტერორისტებისგან. მიაჩნიათ, რომ რაკეში ითვლიან ისლამური სახელმწიფოს 5 ათასამდე ბოევიკს. ისინი მშვიდობიან მცხოვრებლებს იყენებენ, როგორც ცოცხალს ფარს.**



„აღდგომიდან – ამაღლებამდე“

# გამოჩენილი მუსიკოსი სახელგანთქმული პაპის ნაფეხურზე



**მაისის იმ ლამაზ დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯუზეპე ვერდის უკვდავი „დონ კარლოსით“ გაიხსნა XI საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან – ამაღლებამდე“, რომელიც ტრადიციად დამკვიდრდა საქართველოში.** ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალექსანდრე კორსანტიამ ფესტივალის ფარგლებში მრავალი საინტერესო პროგრამა შემოგვთავაზა. მეტად სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ დედოფლისწყაროელთათვის თავიანთი თანამემამულის, სახელგანთქმული მკურნალისა და მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ალადაშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილეზე 19 მაისს ცნობილი მუსიკოსების სტუმრობა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ამერიკაში მოღვაწე ცნობილმა პიანისტმა **ედიშერ სავიცკიმ** და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა სიმებიანი კვარტეტის წევრებმა **მარინა კირაკოზოვმა, ხატია პატარიძემ, თამო გოგიაშვილმა** და **ევგენი ინჩაგოვმა**. ამ პოპულარული კვარტეტის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი **ნოდარ ჟვანია.**

დედოფლისწყაროელები მაღალგემოვნებიანი, კლასიკური მუსიკისა და საოპერო შემსრულებელთა ხშირი სტუმრობით განებივრებული არიან, რაც აქაურთა თავკაცის, რაიონის გამგებლის **ნიკოლოზ ჯანიაშვილის,** ხელოვნების სკოლის დირექტორის, ქალბატონ მარიამ კიკილაშვილის, დედოფლისწყაროს გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსის **თამარ თამაზაშვილის** დიდი დამსახურებაა. დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია კვარტეტის მიერ შესრულებულმა გარდელის ტანგომ კინოფილმიდან „ქალის სურნელი“ და ვაჟა აზარაშვილის „სენტიმენტალურმა ტანგომ“.

კონცერტის მეორე განყოფილება სრულად დაეთმო ედიშერ სავიცკის შემოქმედებას. ახალგაზრდა პიანისტი ამერიკაში, ავსტრიაში, გერმანიაში, ისრაელში, შვეიცარიაში, ბრიტანეთსა და იტალიაში გამართული მრავალი საერთაშორისო კონცერტის გამარჯვებული გახლავთ. ამჟამად იგი ალაბამის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორია, 2013 წელს კი მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხი მიენიჭა. სახელგანთქმული პიანისტის სტუმრობა დედოფლისწყაროში იმითაც იყო განპირობებული, რომ მისი ფესვები სოფელ არბოშიკიდანაა და სწორედ დიდი ქართველი მეცნიერის ალექსანდრე ალადაშვილის შვილთაშვილია, ამიტომაც გასაკვირი არც იყო, რომ მთელი რაიონი ესწრებოდა იმ ღირსშესანიშნავ ღონისძიებას და ამაყობდნენ თავიანთი კუთხის საამაყო შვილით, რომელმაც ქართულ სამუსიკო სკოლას, როგორც ვირტუოზმა შემსრულებელმა, სახელი გაუთქვა მსოფლიოში.

**„როდესაც ედიშერი უკრავს, მისი გონებიდან და გულიდან მთელი სამყაროს დამპყრობი გიგანტური, ინტელექტუალურ-ემოციური ნაკადი მოედინება, რომელსაც მსმენელი სხვა განზომილებაში გადაჰყავს. პროკოფიევის VII სონატა, შესრულებული ედიშერ სავიცკის ინტერპრეტაციით, განუმეორებელია. მადლობა ღმერთს ასეთი საჩუქრისთვის“,** – აღფრთოვანებას ვერ მალავდა ხელოვნების სკოლის დირექტორი, ქალბატონი მარიამ კიკილაშვილი.

მუსიკოსმა მადლობა გადაუხადა მშობლიური კუთხის მკვიდრთ ამგვარი ყურადღებისთვის, თბილი დახვედრისა და სიყვარულისთვის. მეორე დღეს




პიანისტი დედასთან, ქალბატონ **მარინე ალადაშვილთან,** ახლობლებთან და ნათესავებთან ერთად ეწვია არბოშიკს, ალადაანთ უბანს, სადაც დაიბადა მისი დიდი პაპა ალექსანდრე ალადაშვილი. სკოლის რწმუნებულმა მურად ელაშვილმა და არბოშიკელებმა დიდებული დახვედრა მოუწყვეს საპატიო სტუმრებს. დაათვალიერეს ის სახლი, სადაც ალექსანდრე ალადაშვილი დაიბადა. ზეიმი ქიზიყის მადლიან მიწაზე გვიანობამდე გაგრძელდა. ედიშერ სავიცკი შესანიშნავად ფლობს ქართულს და მაღალი პატრიოტული ცნობიერებითაც საზღვარგარეთ საქართველოსთვის მოღვაწეობს.

ღმერთმა გვიმრავლოს!

**ნანა ჭიჭინაძე,**
დედოფლისწყარო.

## მიმდინარეობს შინაური ცხოველების ვაქცინაცია

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო თბილისის ყველა უბანში წინასწარ შერჩეულ 60 ლოკაციაზე ცოფის საწინააღმდეგო უფასო პროფილაქტიკურ ვაქცინაციას ატარებს. 2 ვეტერინარისგან შემდგარი მობილური ეკიპაჟი თითო ლოკაციაზე 2-3 დღის მანძილზე 09:00სთ-დან 14:00 სთ-მდე უფასოდ მოემსახურება მოსახლეობას. მათ საშუალება ექნებათ პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარონ როგორც საკუთრებაში მყოფ, ასევე მიკედლებულ ძაღლებსა და კატებს. იმუნიზაციის პარალელურად ცხოველთა მეპატრონეებს საინფორმაციო ბროშურები დაურიგდებათ. ღონისძიება მთელი წლის მანძილზე გაგრძელდება.**

**სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის თარგლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს შინაური ხორცისმჭამელი ცხოველების – ძაღლისა და კატის ცოფის საწინააღმდეგო უფასო პროფილაქტიკურ ვაქცინაციას. 2016 წელს დაგეგმილია 300 000 სული ცხოველის აცრა. ამ დროისთვის იმუნიზაცია ჩაუტარდა 11 435 ძაღლსა და კატას.**

საქმე №1/34-2016

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

5 მაისი 2016 წელი ქ. თბილისი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „B&M GROUP“**
**საარბიტრაჟო მოპასუხე: გიორგი ჩანტლაძე**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 18 აპრილს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „B&M GROUP"-ის სარჩელი მოპასუხის გიორგი ჩანტლაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 9 ოქტომბერს ერთის მხრივ, შპს „B&M GROUP"-სა და მეორეს მხრივ, გიორგი ჩანტლაძეს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება №BMG220, რომლის თანახმადაც შპს „B&M GROUP"-მა მსესხებელზე გასცა 1000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 09.01.2014წ.

2013 წლის 25 ოქტომბერს №BMG220 ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე გიორგი ჩანტლაძეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიორგი ჩანტლაძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე. თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართებზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გიორგი ჩანტლაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე გიორგი ჩანტლაძე მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინებით მოპასუხე გიორგი ჩანტლაძეს (პირადი №01024067000) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „B&M GROUP"-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. გიორგი ჩანტლაძეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე გიორგი ჩანტლაძეს ეცნობოს, რომ 2016 წლის 22 ივნისს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „B&M GROUP"-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით გიორგი ჩანტლაძის მიმართ.

5. გიორგი ჩანტლაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

## ფეხბურთი




# ვლადიმირ ვაისის რჩეულნი

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა 25-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.**

ჩვენი ეროვნული გუნდი 24 მაისს შეკრებაზე ავსტრიაში გაემგზავრა და ლინცთან ახლოს დაბინავდა. ხვალ საქართველოს ნაკრები ქალაქ ველსში სლოვაკეთს გაეჯიბრება, 3 ივნისს ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან ჩაატარებს ამხანაგურ მატჩს, 7 ივნისს კი მადრიდში ესპანეთს შეხვდება. სამივე მეტოქე ევრო-2016-ის ფინალური ეტაპისთვის ემზადება.

ვლადიმირ ვაისმა ნაკრებში სამ ახალწვეულს უხმო: ჩეხური „ტეპლიცეს" მცველი, აშშ-ში დაბადებული ქართველი ზურაბ ცისკარიძე პირველად მოირგებს ისტორიული სამშობლოს ეროვნული გუნდის მაისურს. პირველად გამოიძახეს თბილისის „დინამოს" ნახევარმცველებიც: ჯაბა ჯიღაური და ვახტანგ ჭანტურიშვილი.

ვაისი ტრავმის გამო ვერ დაიხმარს რუსული „კრილია სოვეტოვის" მეკარეს გიორგი ლორიას. რაც შეეხებათ ესპანური „ხიმნასტიკის" ნახევარმცველ გიორგი აბურჯანიას და გერმანული „დუისბურგის" შემტევ გიორგი ჭანტურიას, მათ კლუბებს უმნიშვნელოვანესი მატჩები უწევთ და ფედერაციასთან შეთანხმებით სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ შეუერთდებიან ნაკრებს.

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი („მორდოვია", რუსეთი), გიორგი მაკარიძე („ფეირენსე", პორტუგალია), როინ კვასხვაძე („ტორპედო");

**მცველები:** გურამ კაშია („ვიტესი", ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია („რუბინი", რუსეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი („დინამო"), ლაშა დვალი („სლასკი", პოლონეთი), ოთარ კაკაბაძე („დინამო"), უჩა ლობჟანიძე („დინამო"), გიორგი ნავალოვსკი („სკა-ენერგია", რუსეთი), ზურაბ ცისკარიძე („ტეპლიცე", ჩეხეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა („რეიმსი", საფრანგეთი), ნიკა კვეკვესკირი („ინტერი", აზერბაიჯანი), გიორგი აბურჯანია („ხიმნასტიკი", ესპანეთი), ლევან ყენია („სლავია", ჩეხეთი), ჯანო ანანიძე („სპარტაკი", რუსეთი), ალექსანდრე კობახიძე („დნიპრო", უკრაინა), ვალერი ყაზაიშვილი („ვიტესი", ჰოლანდია), თორნიკე ოქრიაშვილი („ესკიშეჰირსპორი", თურქეთი), ჯაბა ჯიღაური („დინამო"), ვახტანგ ჭანტურიშვილი („დინამო");

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე („ემპოლი", იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი („პოგონი", პოლონეთი), გიორგი ქვილითაია („დინამო"), გიორგი ჭანტურია („დუისბურგი", გერმანია).

**გიორგი შოთაძე**

## რაგბი

# მსოფლიო თასი ციფრებში: რეკორდები მოხსნილია

**ქვეყნდება 2015 წლის მსოფლიო თასის გათამაშების შემოსავლების ანგარიში, რის მიხედვითაც ამ ტურნირმა წინა მსოფლიო თასების რეკორდები დაამხო. ინგლისში მატჩებზე დასწრების, ტელეაუდიტორიისა და ფინანსური მოგების კუთხით ახალი მიღწევები დამყარდა.**

მსოფლიო თასმა ორგანიზატორებს 2,3 მილიარდი გირვანქა სტერლინგის სუფთა მოგება




მოუტანა, საიდანაც 1,1 მილიარდი დიდი ბრიტანეთის მთლიან შიდა პროდუქტს დაემატა. მატჩებს 151 ეროვნების 406 ათასი უცხო ქვეყნის მოქალაქე დაესწრო.

სულ მატჩებზე 2,47 მილიონი ბილეთი გაიყიდა, რაც მთლიანი რაოდენობის 98% გახლავთ. ერთი სპორტული სახეობის ტურნირებს შორის მან ისტორიაში მეხუთე პოზიცია დაიკავა.

**მსოფლიო თასი ციფრებში:**

— უცხოელთა 80%-მა განაცხადა, რომ აუცილებლად დაბრუნდება დიდ ბრიტანეთში;

— 80% აცხადებს, რომ ტურნირმა დაუვიწყარი გამოცდილება მოუტანა;

— საშუალოდ ტურისტებმა მასპინძელ ქვეყანაში 2 400 გირვანქა სტერლინგი დატოვეს;

— ტურნირისთვის 34 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნა;

— დიდ ბრიტანეთში ტურისტებმა სულ 958 მილიონი გირვანქა დახარჯეს;

— დიდ ბრიტანეთში განხორციელებული 2,7 მილიარდიანი ინვესტიცია ირიბად უკავშირდება 2015 წლის მსოფლიო თასს.

„შემოსავლები მოწმობს, რომ რაგბის მსოფლიო თასი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პრესტიჟული სპორტული ღონისძიებაა. ტურნირს არც თუ ისე დიდი ინვესტიცია მოხმარდა და ძალიან დიდი მოგება მოიტანა" — აცხადებს „მსოფლიო რაგბის" ახლადარჩეული პრეზიდენტი ბილ ბომონტი.

**კობა კობახიძე**

## თარიღი

# ესეც საპენსიო ასაკი!



**გამოჩენილ მოჭადრაკეს, პირადში მსოფლიოს 3-გზის (1975, 78, 81) და ყოფილი სსრკ-ს ნაკრებთან ერთად მსოფლიოს 2- გზის (1985, 89) ჩემპიონს, საჭადრაკო ოლიმპიადების 6-გზის (1972, 74, 80, 82, 86, 88) გამარჯვებულს, საჭადრაკო „ოსკარის" 9-გზის (1973, 74 ,75, 76, 77, 79, 80, 81, 84) მფლობელს, საერთაშორისო დიდოსტატ ანატოლი კარპოვს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა.**

აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ კარპოვმა მეცნიერებასა და პოლიტიკას მიჰყო ხელი. არის რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.

**ბადრი იაშვილი**

## საკალათბურთო მოზაიკა

### მარკოიშვილის „დარუშაფაკამ" დიდი უპირატესობა გაანიავა



**თურქეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში მანუჩარ მარკოიშვილის „დარუშაფაკა" „ანადოლუ ეფესს" ესტუმრა და მართალია, შეხვედრის მიმდინარეობისას 16 ქულითაც კი იგებდა, 71:80 დამარცხდა.**

ქართველი მცველის გუნდისთვის კატასტროფული დასკვნითი მეოთხედი გამოდგა, რომელიც მასპინძლებმა 33:14 მოიგეს. მარკოიშვილმა მოედანზე 23:46 წუთი დაჰყო და 7 ქულა, 1 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. მანუჩარმა 2-ვე ორქულიანი და 3-დან 1 სამქულიანი ჩააგდო და 1 პერსონალური ფოლი მიიღო.

„დარუშაფაკას" რიგებში საუკეთესო ამერიკელი სკოტი ვილბეკინი გახდა 17 ქულით, სტამბოლელთაგან კი ფრანგი გამთამაშებელი თომას უერტელი გამოირჩა, რომელმაც 16 ქულიდან უმეტესი ბოლო ათწუთეულში ჩააგდო.

ნახევარფინალის მე-2 მატჩს დღეს ისევ „ანადოლუ ეფესი" უმასპინძლებს, 28-ში კი ბრძოლა „დარუშაფაკას" სარბიელზე გადაინაცვლებს. სერია სამ მოგებამდეა.

### შენგელია პლეი-ოფში დიდი იმედებით ბრუნდება



**ქართველი კალათბურთელი თორნიკე შენგელია ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ „ლაბორალ კუჩას საპლეიოფო სტადიაზე დიდი იმედებით უბრუნდება. ამ პათოსის სტატიას ბასკური კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.**

შეგახსენებთ, რომ შენგელიამ მუხლზე ჩატარებული ოპერაციის კვალად სამ თვეზე მეტხანს იუქმა და გუნდის განაცხადში ესპანეთის რეგულარული ჩემპიონატის დასკვნით ტურში გამოჩნდა. თუმცა, მაშინ მთავარი მწვრთნელის ველიმირ პერასოვიჩის გადაწყვეტილებით „თოკოს" სათადარიგოთა სკამიდან წამოდგომის საშუალება არ მისცემია.

„სათამაშოდ მზად ვიყავი, მაგრამ მწვრთნელმა ჩემი კიდევ მცირე ხნით დასვენება გადაწყვიტა და ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა. მის ვერდიქტს პატივს ვცემ", — განაცხადა ქართველმა ფორვარდმა.

„ლაბორალ კუჩამ" ჩემპიონატი მე-4 ადგილზე დაასრულა და პლეი-ოფში მეტოქედ საკმაოდ ძლიერი „გრან კანარია" ერგო. შენგელიაც აღიარებს, რომ მის გუნდს მძიმე ბრძოლები ელის. „გრან კანარიას" ჩინებული მსროლელები ჰყავს და ისინი დაცვიდან შეტევაში ძალიან სწრაფად გადადიან. ამ გუნდს სუსტი წერტილები ნაკლებად მოეძებნება".

და რა არის ბასკური კლუბის საბოლოო მიზანი, მით უმეტეს, რომ კანარელების ძლევის შემთხვევაში „ლაბორალ კუჩას" ნახევარფინალში დიდი ალბათობით „ბარსელონა" ელის? "ცხადია, საბოლოო მიზანი ჩემპიონობაა, თუმცა, ამისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ. მთავარია, მეოთხედფინალური ეტაპი დავძლიოთ და დანარჩენზე მერე ვიფიქრებთ", — ამბობს თორნიკე.

მცირე ხნის წინათ „ლაბორალ კუჩამ" თურქული „ბუიუჩექმეჩედან" 29 წლის ამერიკელი უკანახაზელი მაიკლ როლი გადაიბირა, რომელიც თავის დროზე „სარაგოსაში" გიორგი შერმადინის და ვიქტორ სანიკიძის თანაგუნდელი იყო. შენგელიამ როლის ფაქტორზეც ისაუბრა.

„მაიკლი ძალიან ძლიერი მოთამაშეა და პლეი-ოფში დიდ დახმარებას გაგვიწევს. ის უნივერსალური გამთამაშებელია, რომელიც როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში სარგებლიანად ირჯება. საერთო ჯამში ჩემი და ფაბიენ კოსიეს არყოფნაში გუნდმა დიდი სამუშაო გასწია, ახლა კი „ლაბორალ კუჩა" მეტ ენერგიას შეიძენს და ეს ჩვენს შედეგებზეც უნდა აისახოს".

**ცნობისთვის:** ესპანეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალური სერია ორ მოგებამდე გრძელდება და ქართველი ქომაგისთვის საინტერესო წყვილში მოედნის უპირატესობა შენგელიას კლუბის მხარესაა. „ლაბორალ კუჩა" „გრან კანარიას" ხვალ მიიღებს, 29-ში კი გუნდები უკვე ლას პალმასში ითამაშებენ.

### „ოკლაჰომას" ფინალამდე ერთი ნაბიჯი დარჩა




**„ოკლაჰომამ" შინ „გოლდენ სტეიტი" 118:94 დაამარცხა და ნბა-ს დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალურ სერიაში ანგარიში 3:1 გახადა.** მატჩის პირველივე წუთებიდან ოკლაჰომელები დაწინაურდნენ და შეხვედრის ბოლომდე „მეომრები" მდევრის როლში იყვნენ. მატჩის საუკეთესო მოთამაშე რასელ უესტბრუკი გახლდათ, რომელმაც სამმაგი დუბლი შეასრულა — 36 ქულა, 11 მოხსნა და 11 პასი. დიურანტს 26 ქულა ჰქონდა. „გოლდენ სტეიტის" ლიდერმა სტეფ კარიმ მხოლოდ 19 ქულა ჩააგდო. სერიის მეხუთე შეხვედრა ოკლენდში ხვალ თბილისის დროით დილის 5 საათზე დაიწყება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ინტერნეტიდან

# ლარისა დაბრუნდა!




**ქართველ კაცს ქერჩის ფრონტიდან მამის დაბრუნება არ გაუხარდებოდა ისე, როგორც სრულიად ლათინურ ამერიკას ძუძუდალოცვილი პარაგვაელი მოდელის ასუნსიონის ფოტოსტუდიაში დაბრუნება და მისი ახალი ეროტიკული ფოტოგადაღებების დაანონსება გაუხარდა.**

როგორც იცით, ლარისას გარკვეული პერიოდი „შემოქმედებითი პაუზა" ჰქონდა აღებული და ისვენებდა როგორც გარესამყაროსგან, ასევე საკუთარი ამბიციებისგან, რამეთუ ამ ქალს ამბიციები მისსავე მკერდზე გრანდიოზული აქვს და მათ დაოკებას ნამდვილად არ სჭირდება პატარა ძალისხმევა.

თუმცა, როგორც გითხარით, სამართლიანობა აღდგა და ლარისა ძველ და დიდებულ ხელობას კვლავ დაუბრუნდა. სანამ ლარისა ისვენებდა და ხაშურულ ჰამაკში თვლემდა, ასპარეზზე მისი ახალგაზრდა და ტალიკ-ტალიკი კოლეგები გამოჩნდნენ და რიკელმეს ძველი დიდების დაბრუნება ალბათ გაუჭირდება, მაგრამ ეს ისეთი ქალია, არც მამალი მგელი აშინებს და არც დედალი კონკურენტი.

**როსტომ რაჭველიშვილი**

საკვები და ჩვენ

# მოისყიდეს თუ არა ამერიკელი მეცნიერები?!

**გენმოდიფიცირებულ პროდუქციასთან დაკავშირებით მსოფლიოში აზრი გაიყო. ამერიკელი მეცნიერები ამ ტიპის პროდუქციას (გმო) უსაფრთხოდ მიიჩნევენ, ევროპელები კი მის მავნებლობაზე მიუთითებენ.**

აშშ-ის მედიცინის, ტექნიკისა და მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიებმა სამეცნიერო ნაშრომებისა და პროფესიონალების გამოკითხვის შედეგად, დაადგინეს, რომ გენმოდიფიცირებული კულტურებისგან მიღებული პროდუქტები არათუ საზიანოა, არამედ, შესაძლოა, ადამიანისთვის სასარგებლოც იყოს. უფრო მეტიც, გენმოდიფიცირებული პროდუქცია მდგრადია მწერების, გვალვისა და დამლაშების მიმართ, მათგან მიღებული საკვები კი უფრო ნოყიერია და მათი გამოყენების ვადა გახანგრძლივებულია.

**ევროპელი მეცნიერები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. მათი აზრით, გმო პროდუქტები არა მარტო ადამიანებს აავადებენ, არამედ გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი წყაროცაა. ევროპელთა აზრით, ეს პროდუქცია ონკოლოგიური დაავადებების გამომწვევია.**

რამდენად გულწრფელნი არიან ამერიკელი მეცნიერები, რომლებიც გენმოდიფიცირებული პროდუქციის მავნებლობას უარყოფენ და ხომ არ იქონია მათ „ნაშრომებზე“ ზეგავლენა გმო-ს მწარმოებელ კორპორაციათა გულუხვმა დაფინანსებამ?!

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელი **ლია თოდუა** აცხადებს, რომ გენმოდიფიცირებულ პროდუქციასთან დაკავშირებით მსოფლიოს მეცნიერებს შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ამ საკითხს ობიექტურად რომ შევხედოთ, აღმოჩნდება, რომ გენმოდიფიცირებული სურსათით ადამიანები იკვებებიან სულ რაღაც 25-30 წელია და არავინ იცის, რა შედეგს მოგვცემს ეს 50 წლის მერე, ანუ მომდევნო თაობებში.

ექსპერტის თქმით, რა თქმა უნდა, ცდები ტარდება ცხოველებზე, მაგრამ ცხოველებზე ჩატარებული ცდების პირდაპირ ადამიანებზე გადატანა არ შეიძლება. ამდენად, მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ გმო მავნე პროდუქციად ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია უფლებას იძლევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში აკრძალოს ქვეყანამ გმო-ს რომელიმე პროდუქცია, თუკი მიიღწევა სამეცნიერო კონსენსუსი ამა თუ იმ ნივთიერების მავნებლობის თაობაზე.

ამიტომ ვერც ევროკავშირმა და ვერც საქართველომ ვერ აკრძალეს გენმოდიფიცირებული პროდუქციის იმპორტი. ერთადერთი, აუცილებელია წარწერის გაკეთება, რაც საქართველოში სრულდება და დარღვევები ერთი-ორჯერ იყო აღმოჩენილი.



„თუმცა, პრობლემაა ის, რომ თვითონ გენმოდიფიცირებული პროდუქციისგან წარმოებული სურსათის აღმოჩენა არ არის იოლი. მაგალითად, თუ გენმოდიფიცირებული კარტოფილისგან მიიღეს სახამებელი, იქ გენი უკვე აღარ არის და, ცხადია, ლაბორატორიული ანალიზით ვეღარ დაადგენ, სახამებელი რომელი კარტოფილისგან ან სიმინდისგანაა მიღებული. ხოლო, როცა აშშ-დან შემოდის სოიოს ფარში, უმეტეს შემთხვევაში, ის გენმოდიფიცირებულია და ეს აღმოჩენადია, მაგრამ შაქარში, თუკი ის გენმოდიფიცირებული ლერწმისგან არის მიღებული, შეუძლებელია მოდიფიცირებული გენის აღმოჩენა. შაქარში გენი აღარ არის, მცენარიდან გამოყოფილია მხოლოდ შაქარი, გენი კი სულ სხვა არაშაქრული ნივთიერებაა“, — აცხადებს ლია თოდუა.

„მწვანეთა მოძრაობის“ ლიდერი, პარლამენტარი **გია გაჩეჩილაძე** აცხადებს, რომ გენმოდიფიცირებული მასალის შემქმნელ და გამავრცელებელ ორგანიზაციებს სერიოზული გავლენა აქვთ პოლიტიკურ სისტემაზე არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, რადგან ძალზე დიდ თანხებთანაა დაკავშირებული მათი კაპიტალი, ოთხ თუ ხუთ წვრილ ასეთ კორპორაციას 3-4 ტრილიონიანი ბრუნვა აქვს წელიწადში. თავის დროზე ერთ-ერთმა ცნობილმა ქიმიურმა გიგანტმა იმ მოტივით, თითქოს შიმშილი იწყება დედამიწაზე და მას მხოლოდ გენმოდიფიცირებული პროდუქტები გადაარჩენსო, ქიმიურ პრეპარატზე „დდტ“-ს გავრცელება დაიწყო, რასაც საქართველოში დუსტს ეძახდნენ და იგი სოფლის მეურნეობაში პესტიციდად გამოიყენებოდა. იმ დონემდე მივიდა საქმე, რომ საშინელი კანცეროგენის გამომწვევი დუსტის გამოყენება გაერომ 1971 წლის რეზოლუციით აკრძალა, რადგან იგი ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევდა.

„ზუსტად იგივე რიტორიკაა ახლაც. ეს ბიზნესინტერესებია და არ არის გამორიცხული, მათ გარკვეული გავლენა ჰქონდეთ ამერიკულ სამეცნიერო წრეებზეც, ამიტომ კვლევებში ერთი მხარე ერთს ამბობს, მეორე, დამოუკიდებელი მხარე კი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს **გმო**-ს მავნებლობასთან დაკავშირებით. თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის, რადგან არსებობს გაეროს ბიომრავალფეროვნების კონვენცია, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა კარტახენას ოქმი, რომელიც პირდაპირ ეუბნება სახელმწიფოებს — ყველა ქვეყანა ვალდებულია, დაარეგულიროს თავის ტერიტორიაზე გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების მიმოქცევა და გამოყენება. ქვეყანას უფლება აქვს, აკრძალოს ან შეზღუდოს მათი გამოყენება. ამ საფრთხეზე პირდაპირ მიგვითითებს გაერო და არავითარი კვლევები აღარ მაინტერესებს.

...რაც შეეხება სუპერმარკეტებსა და მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილ გადამუშავებულ პროდუქციას, დეპუტატის თქმით, თუკი ის შეიცავს ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს, აუცილებლად უნდა დაეწეროს ეტიკეტზე. ეს სახელმწიფომ უნდა გააკონტროლოს და დასაჯარიმებელი კომპანიები უნდა დააჯარიმოს. მართალია, ეს რთული პროცესია, რადგან იმპორტი ძალზე დიდია საქართველოში, თუმცა, პარალელურად უნდა მოხდეს კვებითი პრუდუქტების იმპორტის ნელ-ნელა ჩანაცვლება ადგილობრივი სუფთა პროდუქციით.

**მანანა ნოზაძე**

ჯანმრთელობა

## ხერი!

**ამერიკელ მკვლევართა ჯგუფმა ფსიქოლოგიის დოქტორის პატი ვუდის ხელმძღვანელობით ცხვირის დამცემინებელთა ოთხი ტიპი გამოყო.**

1. **ენთუზიასტი** — ასეთი კაცი ხმამაღლა, გულიანად აცემინებს.

ეს, როგორც წესი, ქარაზმატული პი-



როვნებაა, რომელიც გარშემომყოფებზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს. ასეთ კაცს უხვად აქვს საკმაოდ მიმზიდველი იდეა, რომელთა განხორციელებაში სხვების აყოლიება შეუძლია. ეს გულღია ადამიანის ტიპია, თან კარგი მოსაუბრე.

2. **პედანტი** — ცდილობს ჩუმად ცხვირსახოცაფარებულმა დააცემინოს.

ამ ტიპის ადამიანისთვის უმთავრესია გარშემო მყოფებთან ურთიერთობა, იგი ყველანაირად ცდილობს, კონფლიქტებს თავი აარიდოს, არის მშვიდი, შემწყნარებელი, ზოგჯერ სხვებზე დამოკიდებული ადამიანი. არის კარგი მომსმენი და დამხმარე.

3. **მოაზროვნე** — ასეთი კაცი საკუთარი თავისადმი გამოხატული პატივისცემით აცემინებს, რა დროსაც აუცილებლად აქვს მომარჯვებული ლამაზი ცხვირსახოცი.

ესაა, ჩვეულებრივ, დაფიქრებული კაცი, რომელიც მუდამ წონის თავის სიტყვასა და საქციელს, არ გამორჩება სხვისი შეცდომა. ესაა ერუდირებული ადამიანი, რომელსაც ყველაფერზე საკუთარი აზრი გააჩნია. უყვარს სერიოზული ლიტერატურის კითხვა. ყველა სამუშაოს თავისით ასრულებს. როგორც წესი, დასვენება შინ, მარტოკას ურჩევნია.

4. **ინდივიდუალისტი** — იგი სწრაფად და ხმამაღლა აცემინებს.

ესაა სწრაფი მოქმედების გაბედული კაცი, რომელიც გარშემო მყოფთაგან იგივეს მოითხოვს. როგორც წესი, სხვის იმედად არ არის, ლიდერია, კარგი ხელმძღვანელი, რომელსაც არ უყვარს, როცა სხვა იყენებს.

## გალიური დაავადება

**სქესობრივი გზით გადამდებ მრავალ ინფექციურ დაავადებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საშიში, ვერაგი და ძნელად სამკურნალო სიფილისია. თუმცა, ამ ავადმყოფობის შეყრა შესაძლოა დაავადებული დონორის სისხლის გადასხმით, კოცნით, საერთო შპრიცებით, საერთო კბილის ჯაგრისებით, სამართებლებით სარგებლობის შედეგადაც კი.**

სიფილისით დაავადებულებს თეავიანთ ტილოებზე გამოსახავდნენ დიდი მხატვრები — დიურერი, რემბრანდტი, ჰოგარტი. სნეულების თავიანთ წიგნებში აღწერდნენ რაბლე, ვოლტერი, ბაბელი, აკუტაგავა, ბულგაკოვი, მაიაკოვსკი, სხვები; სიფილისის პირველი ეპიდემია ევროპაში 1495 წელს გავრცელდა, როცა საფრანგეთის მეფის შარლ VIII-ის ჯარებს ნეაპოლი ალყაში ჰყავდათ მოქცეული; სნეულებას სახელი 1530 წელს იტალიელმა პოეტმა და ექიმმა ჯიროლამო ფრასკასტორომ დაარქვა. მან პოემა სახელწოდებით „სიფილისი, ანუ გალიური სნეულების შესახებ“ დაწერა და ამ ავადმყოფობის შესახებ სამედიცინო ცოდნის პირველი პოპულარიზატორი გახდა; სიფილისის საინკუბაციო პერიოდია 3-6 კვირა; ყველაზე გადამდებნი არიან სიფილისის ადრეული ფორმებით სნეულნი ავადმყოფობის პირველი ორი წლის განმავლობაში; სიფილისის აღმძვრელი — ბაცი ტრეპონემა — 1905 წელს აღმოაჩინეს; სიფილისით დაავადებულთა შარდი და ოფ-



ლი გადამდები არ არის, სამაგიეროდ გადამდებია სპერმა და დედის რძე; ამჟამად სიფილისს ანტიბიოტიკებით მკურნალობენ და ეს პროცესი, შესაძლოა, რამდენიმე კვირიდან რამდენიმე წლამდე გასტანოს.



**საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი 1969 წლიდან, მაღალი პროფესიონალი და ღვაწლმოსილი პიროვნება**

**ვაჟა ჩაგუნავა**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ახლობლებს, ნათესავებს.**

## ორსართულიანი მატარებლების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმდა

**საქართველოში ორსართულიანი მატარებლების შემოყვანაზე ოთხშაბათს ხელშეკრულება გაფორმდა.**

**ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს Stadler kiss-ის დამფუძნებელმა პიტერ შპულერმა და „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ.**

**102 მეტრის სიგრძის და 5240 მმ სიმაღლის ორსართულიანი მატარებლები სრულად შეესაბამება „საქართველოს რკინიგზის“ მოთხოვნებს. მატარებელს ერთდროულად 400 მგზავრის გადაყვანა შეუძლია.**

**ტექნიკური პარამეტრების გერმანული Deutsche Bahn-ის ექსპერტებთან ერთად ქართველებმაც იმუშავეს.**

**პირველი მატარებლის მიღებას „საქართველოს რკინიგზა“ 17 ივლისს ელის.**

**ევროპული სტანდარტის, თანამედროვე მოწყობილობით, ულტრათანამედროვე ტიპის უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვილი მატარებლები პირველია ქართულ რეალობაში, რომელიც სრულად იქნება მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებზე.**

# დაუვიწყარი წამი



საძმოსა და სამეგობროს სურათი დაარქვეს აქ წარმოდგენილმა 50 წლის წინანდელმა თანაკურსელებმა, რომლებიც ყოველი წლის 26 მაისს იკრიბებიან და ერთობლივად აღნიშნავენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დღეს.

მოგვაწოდა
ალეკო კაკულიამ

**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1963 წლის კურსდამთავრებულები**

## სარფის სანაპირო ზოლზე გზის გამაგრების სამუშაოები მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრქუტურის სამინისტროს დაკვეთით, საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ117-კმ119 მონაკვეთზე გზის საფარის აღდგენის, გზისა და სანაპირო ზოლის გაფართოების, დაცვისა და გამაგრების სამუშაოები მიმდინარეობს.

სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზა საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალია და მასზე დღე-ღამეში, საშუალოდ, 15 000 ავტომობილი გადაადგილდება. სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, შტორმული ტალღების ზემოქმედების შედეგად, გზის ქვედა ფერდი ირეცხებოდა, რაც საფრთხეს უქმნიდა გზის მდგრადობას, ტრანსპორტსა და მგზავრებს. ასევე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, გზის 932-მეტრიანი ნაწილი, რომელზეც კლდოვანი ციცაბო ფერდობიდან ინტენსიურად ცვიოდა ლოდები და ავტომობილებისა და ტვირთების დაზიანებას იწვევდა.

პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელდა 110-მეტრიანი ესტაკადის რეაბილიტაცია, დამონტაჟდა ქვისცვენის საწინააღმდეგო ბადე. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ავტომაგისტრალის სავალი ნაწილი 5 მეტრით გაფართოვდება; გაიზრდება სანაპირო ზოლის მოცულობა; სანაპიროზე აშენდება 7,71 მეტრი სიმაღლის ქვანაყარი ბერმა, რამაც ტერიტორია შტორმის დროს უნდა დაიცვას.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 28 მაისს**

## ყველაზე დიდი... ცალფეხა ჯარი

**სოკოები — დედამიწაზე არსებული სიცოცხლის წარმომადგენელთა ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასია. მცენარეებთან, ცხოველებთან და ბაქტერიებთან ერთად ისინი ცოცხალი ბუნების ცალკე სამყაროს წარმოადგენენ, მასში შედის არა მარტო ქუდიანი ეგზემპლარები, რომელთა ტყეებსა და მინდვრებში კრეფას ვართ მიჩვეულნი, არამედ ობიც და საფუარიც.**

ქუდიანი სოკო ეგრეთ წოდებულ მიცელიუმს წარმოადგენს, რომელიც უწვრილესი ძაფებისგან (გიფებისგან) შედგება. იმას, რასაც მიწას ზედაპირზე



ვხედავთ — ეს ნაყოფის სხეულია, რომლის დანიშნულებაა სპორების გავრცელება; ტყეში მიწის მცენარეული საფრის მთელი მასის 80-90 პროცენტი სოკოს მასაზე მოდის (ერთ ჰექტარზე დაახლოებით 5 ტონა). სოკოებს ვხვდებით ყველგან, სადაც სიცოცხლეს არსებობა შეუძლია; ერთი კილომეტრის სიგრძის ძაფის (გიფუს) გამომუშავება დღე-ღამეში შეუძლია მხოლოდ ერთი ქუდიანი სოკოს მიცელიუმს; მეცნიერები იცნობენ სოკოების 100 ათასზე მეტ სახეობას. მათ შორის საჭმელად ვარგისი ქუდიანი სოკოების ასობით სახეობაა, შხამიანებისა — ერთეულები; ყველაზე დიდი ნაპოვნი სოკო 140 კილოგრამს იწონიდა, მისი გარშემოწერილობა თითქმის ორი მეტრი იყო. ეს სოკო ვაიმინგის შტატში 1985 წელს იპოვეს; ქიტინის მაღალი შემცველობის გამო, ადამიანის ორგანიზმი სოკოს ძნელად ინელებს. მის საკვებ ღირსებას კარგი გემო და არომატი წარმოადგენს, ამიტომაც მას ხშირად სანელებლების და საწებლების მოსამზადებლად იყენებენ; 200 გრამი გამხმარი სოკო ადამიანის კალციუმის მოთხოვნილების დღე-ღამურ ნორმას შეიცავს; სოკოს მომზადება საჭიროა მოკრეფიდან არაუგვიანეს 4-5 საათისა, რადგან ისინი მალე ფუჭდება; ზოგიერთი სოკო უმი იჭმევა: მაგალითად, ახალგაზრდა შამპინიონები, ქამა, ტრიუფელი. მათ პატარა, თხელ ნაჭრებად ჭრიან და ლორს ან ყველს აყოლებენ; სოკო — ესაა დაბალკალორიული საკვები, ის 30-დან 85 კილოკალორიას შეიცავს; ყველაზე კარგი სამკურნალო თვისებები სოკო შიიტაკეს აქვს, მას ფართოდ იყენებენ მედიცინაში. იგი ამცირებს ქოლესტერინის დონეს, ამცირებს ანთებებს, კურნავს წყლულებს, ამაღლებს იმუნიტეტს... ზოგიერთი სოკო ფსიქოაქტიურ ნივთიერებას შეიცავს. ძველად სხვადასხვა ხალხი მათ გარკვეულ რელიგიურ და წარმართულ რიტუალებში იყენებდა.

## დასასვენებლად... ყირგიზეთში

**რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობათა უკიდურესად დაძაბვისა და ეგვიპტეში ისლამისტების ტერაქტების შედეგად, რასაც რუსეთელი თვითმფრინავის აფეთქება და უამრავი უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი მოყვა, ტურისტული კავშირები ამ ქვეყნებს შორის, ფაქტობრივად, გაწყდა. ამ გარემოებას სათავისოდ გამოყენებას სხვები ცდილობენ, მათ შორის, ყირგიზეთი, რომელმაც რუსეთს საკუთარი თავი თურქეთისა და ეგვიპტის ალტერნატივად სრულად სერიოზულად შესთავაზა.**

ყირგიზეთის ტურიზმის დეპარტამენტის მესვეურთა აზრით, ყველაზე მეტად რუსეთელები ტბა ისიკ-ყულის გამაჯანსაღებელმა კურორტებმა უნდა დააინტერესონ, სადაც მკურნალობა მინერალური წყლებითა და ტალახებითაა შესაძლებელი. თუმცა კი ამ იდეას თავად რუსეთში, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილად შეხვდნენ.

წამყვანი ტუროპერატორებისა და ტურიზმის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თურქეთისა და ეგვიპტის კურორტების ყირგიზულებით ჩანაცვლება, ცოტა არ იყოს, არასერიოზული იდეაა: ყირგიზეთში მკვეთრად კონტინენტური კლიმატია — ზამთარში საშინლად ცივა, ზაფხულში კი პაპანაქება სიცხეა...



## ცინცხალი ანეკდოტები

**ყველა ადამიანს ვიღაცა ხელმძღვანელობს: ზოგს საკუთარი ტვინი, ზოგსაც — სახელმწიფო.**

* * *

**მყიდველი:**

**— რა უბედურებაა, როგორი გაძვირებულია ყველაფერი!**

**გამყიდველი:**

**— გინდოდათ დამოუკიდებლობა და საბაზრო ეკონომიკა? ჰოდა, აი ესეც თქვენი იმპერიალიზმი — მტაცებლური კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია!**

* * *

**— ბატონო პრეზიდენტო! ძალიან კარგია, რომ მრჩევლები გონებით გაძეძგილი და ცოდნით დახუნძლული ხალხი გყავთ! ახლა არც ის იქნებოდა ურიგო, მათ რჩევებს ყურსაც თუ დაუგდებთ!..**

* * *



**სახელმწიფო მოღვაწის სადარდებელი: ან ყველაფერი სწორი გზით არ მიდის, ანდა ეგ ყოფილა ჩვენი გზა...**

* * *

**— საიმისოდ, რომ ცხოვრების გზა გახანგრძლივდეს, საჭიროა ან ხალხის უკეთესად მკურნალობა, ანდა დედამიწის ბრუნვის აჩქარება. თანაც, საინტერესო ის არის, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მეორე ვარიანტი არც თუ ურიგოდ ესახება.**

* * *

**მას შემდეგ, რაც სტეფანეს სიმღერები მოეწონა, ზაზაია მიხვდა, რომ მესამე კლასში სამუდამოდ ჩარჩა.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323

ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გამოიწერეთ:**

**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.162; ევრო - 2.437;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.125;
100 რუბლი - 3.313; თურქული ლირა - 0.725;
აზერბაიჯანული მანათი - 1.441;
1000 სომხური დრამი - 5.529

**ამინდი 26 მაისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +10, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +5, | დღე +22 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +9, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +5, | დღე +22 |
| თბილისი: | ღამე +13, | დღე +25 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE